ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ელიზბარ სადრაძე

სპორტული ტურიზმის განვითარების პოტენციალი საქართველოში

საზოგადოებრივი გეოგრაფია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საზოგადოებრივი გეოგრაფიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ნინო პავლიაშვილი
ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2019

ანოტაცია

სპორტული ტურიზმის განვითარების პოტენციალი საქართველოში

თანამედროვე მსოფლიოში სპორტული ტურიზმი ტურიზმისა და რეკრეაციის გლობალური ინდუსტრიის ერთ-ერთ წამყვან სექტორად იქცა. ამაზე მეტყველებს სპორტული ტურისტების ხვედრითი წილი მთლიანი ტურისტების რაოდენობაში, ასევე მათი დანახარჯები. მისი განვითარება პირდაპირ კავშირშია კონკრეტული ქვეყნის იმიჯისა და ცნობადობის ზრდის პროცესში. შესაბამისად, საქართველოსთვის და მისი მსგავსი ქვეყნებისთვის, რომელთაც სპორტული ტურიზმის განვითარებისათვის გააჩნიათ ყოველგვარი ხელშემწყობი ფაქტორი (სამთო და საზღვაო რესურსი, ხელსაყრელი კლიმატი, მდიდარი შიდა წყლების სისტემა და ა.შ.).

აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომი მიზნად ისახავს დაადგინოს, სპორტული ტურიზმის პოტენციალი საქართველოში, აღნიშნული სექტორის განვითარების პროცესში არსებული გამოწვევებისა და ქვეყნის მთლიანი ტურიზმის სექტორში მისი როლის განსაზღვრის გზით.

ნაშრომის პირველი და მეორე თავი ზოგადინფორმაციულია. კერძოდ პირველ თავში საუბარი იქნება სპორტულ ტურიზმზე, მის დეფინიციაზე, მნიშვნელობასა და განვითარების ისტორიაზე. მეორე თავში მიმოხილული იქნება სპორტული ტურიზმი საქართველოში და აგრეთვე შედარებითი ანალიზი სამხრეთ კავკასიაში არსებულ სხვა ქვეყნებთან, კერძოდ აზერბაიჯანთან და სომხეთთან.

იმისათვის, რომ შევძლო ნაშრომში გამოყენებული თეორიის განზოგადება და დასკვნის გაკეთება, მესამე თავი ეთმობა საქართველოს სამი რეგიონის სხვადასხვა სპორტში ჩართული სპორტსმენების გამოკითხვას და აღნიშნული კვლევის ანალიზს. დასკვნაში კი შეჯამებული იქნება ყველა იმ თეორიული თუ სტატისტიკური მასალის მონაცემები, რომლის საფუძველზეც მოხდა ჩატარებული კვლევის ანალიზი.

Anotation

Sports tourism in the modern world has become one of the leading sectors of tourism and recreation in the global industry. This is evident from the proportion of sports tourists in the total number of tourists and their expenses. Its development is directly related to the development of the image and awareness of a particular country. Therefore, the development of sports tourism is very important for Georgia and its similar countries, since it has all the supporting factors (mining and marine resources, a favorable climate, a rich inland water system, etc.).

Given master's work is aimed at identifying the potential of sports tourism in Georgia by examining challenges in the development of this sector and its role in the overall tourism sector of the country.

The first and second chapters of the work provide general information. In particular, the first chapter will cover sports tourism, its definition, meaning and development history. The second chapter will consider sports tourism in Georgia, as well as a comparative analysis with other countries of the South Caucasus, namely with Azerbaijan and Armenia.

In order to be able to generalize and draw conclusions about the theory used in the work, the third chapter is devoted to the surveying athletes engaged in various sports in the three regions of Georgia, and the analysis of the research. In the conclusion data of all those theoretical and statistical materials on which the analysis of the survey was conducted will be summarized.

სარჩევი

შესავალი 5

თავი I. სპორტული ტურიზმი 8

1.1 სპორტული ტურიზმის დეფინიცია 8

1.2 სპორტული ტურიზმის განვითარება 13

1.3 ოლიმპიური თამაშები 16

თავი II. სპორტული ტურიზმის საქართველოში; სამხრეთ კავკასიის რეგიონის შედარებითი ანალიზი 19

2.1 სპორტული ტურიზმი საქართველოში 19

2.2. სპორტული ტურიზმი აზერბაიჯანსა და სომხეთში 31

თავი III. კვლევის ანალიზი 36

3.1 კვლევის შედეგები ..... **Error! Bookmark not defined.**

3.2 კვლევის შედეგების განზოგადება თეორიების მიხედვით 41

დასკვნა 42

გამოყენებული ლიტერატურა 46

დანართი 49

შესავალი

თემის აქტუალობა.

სპორტული ტურიზმი აერთიანებს და აკავშირებს თანამედროვეობის ორ ყველაზე მოთხოვნად და მიმზიდველ, სპორტისა და ტურიზმის ინდუსტრიას. იგი ზოგადად ტურიზმის ინდუსტრიის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი და პოპულარული სექტორია. სპორტულ ტურიზმს საკმაოდ დიდი ისტორია აქვს, თუმცა გლობალიზაციისა და დემოკრატიზაციის პროცესმა ხელი შეუწყო მის მასობრიობას. ასევე, სპორტული ტურიზმის დიდი პოპულარობა განაპირობა ჯანსაღი ცხოვრების წესსა და რეკრეაციაზე მზარდმა მოთხოვნამ საზოგადოებაში. სპორტული ტურიზმის მრავალი დეფინიცია გვხვდება, თუმცა მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის საერთაშორისოდ მიღებული განმარტებით, სპორტული ტურიზმი, ეს არის ინდივიდუალური ან ორგანიზებული, არაკომერციული გადაადგილება საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილიდან, ყველა ფორმის აქტიური და პასიური ჩართულობის მიზნით ტურისტულ აქტივობაში. შესაბამისად, სპორტული ტურიზმი საკმაოდ ფართო ცნებაა და მისი გავრცელების არეალი არ არის შემოსაზღვრული. იგი ერთდროულად მოიცავს იმ ტურისტებს, რომლებიც მოგზაურობენ სპორტულ ღონისძიებებზე დასასწრებად თუ სპორტული ობიექტებისა და ღირშესანიშნაობების მოსანახულებლად და რაც მთავარია, იმ ტურისტებს, რომლებიც მოგზაურობის დროს დაკავებულნი არიან სხვდასხვა სპორტული აქტივობით (მაგალითად, ექსტრემალური თუ სათავგადასავლო სპორტით, სათხილამურო სპორტითა თუ გოლფით და ა.შ).

გლობალური ტურიზმისა და რეკრეაციის ინდუსტრიაში სპორტული ტურიზმის სექტორი საკმაოდ დიდი პროცენტითაა წარმოდგენილი, როგორც რაოდენობრივი, ასევე ფინანსური თვალსაზრისით. მას კონკრეტული ქვეყნის ეკონომუკური განვითარების პროცესში უდიდესი პოზიტიური წვლილი შეუძლია

შეიტანოს. ამის ძალიან კარგი მაგალითებია გლობალური საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების პოსტ-შედეგები სხვადასხვა ქვეყანაში, მაგალითად ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონატის ფეხბურთში ბრაზილიაში. განსაკუთრებით დიდია მისი მნიშვნელობა სოციალური და ეკონომიკური განვითარების ისეთ სტადიაზე მყოფი ქვეყნებისთვის, თუნდაც როგორიცაა საქართველო. სპორტული ტურიზმი მსგავსი კატეგორიის სახელმწიფოებში შეიძლება აღმოჩნდეს ეკონომიკური სარგებელის, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურისა და ახალი სამუშაო ადგილების წყარო, ასევე ქვეყნის იმიჯის ზრდის ხელშემწყობი ფაქტორი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია დავადგინოთ სპორტული ტურიზმის, როგორც ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტის პოტენციალი საქართველოში.

კვლევის ობიექტი.

საკვლევი თემის ობიექტი:

სპორტულ ტურიზმში ჩართული პირები:

ქართველი სპორტსმენები; სპორტული ტურისტები.

კვლევის ძირითადი მიზანი და ამოცანები.

მიზანი: ნაშრომის მიზანია სპორტული ტურიზმის პოტენციალის დადგენა საქართველოში, სპორტული ტურიზმის განვითარების პროცესში არსებული გამოწვევებისა და ქვეყნის მთლიანი ტურიზმის სექტორში მისი როლის განსაზღვრის გზით.

ამოცანები:

- გამოვკვეთოთ სპორტული ღონისძიებებისა და სპორტული ატრაქციების მნიშვნელობა საქართველოს ტურიზმის განვითარების პროცესში.
- დავადგინოთ ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ სპორტული ტურიზმის განვითარებაზე საქართველოში და გამოვყოთ სპორტული ტურიზმის განვითარების წინაშე არსებული გამოწვევები.

კვლევის მეთოდი და მეთოდოლოგიური საფუძვლები.

კვლევის მეთიდის არჩევანი საკვლევი თემის მრავალფეროვნებამ განსაზღვრა. კვლევაში გამოყენებულ იქნა თანამედროვე და აპრობირებული მეთოდოლოგიები, მათ შორის: რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები, გარდა ამისა, შედარებითი ანალიზის, სტატისტიკური და გრაფიკული მეთოდები. კვლევის პროცესში ასევე გამოყენებულ იქნა სხვადასხვა სახის პრაქტიკული და თეორიული მასალა, ფუნდამენტური შრომები, სტატიები და გლობალური ქსელი.

თეორიული ჩარჩო.

კვლევის ანალიზში განხილულია ყველა ის გავრცელებული თეორია, რომლებიც ესადაგება კვლევის შედეგებს: სპორტული მოტივაციის თეორია; მასობრივი კომუნიკაციის თეორია.

კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

ჩატარებული კვლევა და საბოლოო დასკვნა, ვფიქრობ, საინტერესო იქნება: ტურიზმისა და სპორტის სფეროში ჩართული ადამიანებისთვის, სპორტული ტურისტებისთვის; ტურიზმის სპეციალობის სტუდენტებისთვის; სპორცმენებისთვის; შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებში ტურიზმისა და სპორტის სფეროსთან დაკავშირებული სასწავლო კომპონენტების განახლებისთვის. ნაშრომს გააჩნია გარკვეული პრაქტიკული მნიშვნელობა. ის სტატისტიკური თუ თეორიული მასალა, რომელიც მასში არის გაანალიზებული, კარგ სამსახურს გაუწევს ტურიზმისა თუ სპორტის საკითხით დაინტერესებულ ყველა ადამიანს.

თავი I. სპორტული ტურიზმი

1.1 სპორტული ტურიზმის დეფინიცია

სპორტული ტურიზმი, ეს არის ინდივიდუალური ან ორგანიზებული, არაკომერციული გადაადგილება საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილიდან, ყველა ფორმის აქტიური და პასიური ჩართულობის მიზნით ტურისტულ აქტივობაში (UNWTO, n.d.). გიბსონმა, თავის ერთ-ერთ ნაშრომში გამოყო სპორტული ტურიზმის კლასიფიკაცია, რომელიც მოიცავს სამ ძირითად საკითხს:

- **სპორტული ღონისძიებების ტურიზმი** - სპორტული ღონისძიებების ტურიზმი მოიცავს ტურისტებს, ვისაც მნიშვნელოვან სპორტულ ღონისძიებებზე (მსოფლიო თუ კონტინენტის ჩემპიონატებზე, ოლიმპიადებზე და მისთ.) დასწრება სურთ. აქ გამოიყოფა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კატეგორია, კერძოდ საქომაგო ტურიზმი,- მსხვილ სპორტულ ღონისძიებებზე, ასევე სხვადასხვა სახის ფესტივალებზე დასწრება და საყვარელი სპორტსმენებისა თუ ხელოვანთა მხარდაჭერა და გულშემატკივრობა.

- **აქტიური სპორტული ტურიზმი** - ტურისტული მოგზაურობა, რომლის დროსაც ტურისტები დაკავებულნი არიან მათი საყვარელი სპორტის სახეობით (მაგ., გოლფი, ჩოგბურთი, ბეისბოლი, სათხილამურო სპორტი, წალქვეშა ცურვა და სხვ.)

- **ნოსტალგიური ტურიზმი** - ტურისტული მოგზაურობა, რომლის დროსაც ტურისტები სტუმრობენ სპორტულ ღირშესანიშნაობებს (სტადიონებს, მუზეუმებს, სპორტულ გუნდების მაღაზიებს). ნოსტალგიური ტურიზმი ასევე მოიცავს ცნობილ სპორცმენებთან შეხვედრას მოგზაურობის დროს (Thomas Hinch, 2004).

სპორტულ ტურიზმს, არა როგორც დამოუკიდებელ დისციპლინას ან მეცნიერებას, საკმაოდ დიდი ისტორია აქვს. იგი პირველად პირველად ანტიკურ საბერძნეთში ჩაისახა, მას შემდეგ, რაც ოლიმპიური თამაშები იღებს სტარტს. პირველი ოლიმპიური თამაშები მოეწყო ძვ. წელთაღრიცხვით 776 წელს ქალაქ ოლიმპიაში. თამაშებს შორის შუალედი იყო 1417 დღე. ქალაქი ოლიმპია ოლიმპიური თამაშების დროს იზიდავდა საკმაოდ ბევრ მონაწილესა და მაყურებელს მრავალი რეგიონიდან. შეგვიძლია ვთქვათ, რომ სპორტული ტურიზმი საკმაოდ პოპულარული იყო ძველ რომში გლადიატორთა ბრძოლების დროს (Huggins, 2013).

სპორტულმა ტურიზმმა დროთა განმავლობაში საკმაოდ დიდი ცვლილებები განიცადა. დემოკრატიზაციისა და გლობალიზაციის პროცესმა გზა გაუხსნა მანამდე შეზღუდულ შესაძლებლობებს და სპორტული ტურიზმიც უფრო მასობრივი გახდა, განსაკთრებით მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან. სამეცნიერო-ტექნოლოგიურმა რევოლუციამ (პირდაპირმა ტრანსლიაციებმა, ინტერნეტმა), სასაზღვრო ფორმირებების გამარტივებამ, ტრანსპორტის სახეობების განვითარებამ და სხვა ყველა იმ ფაქტორმა, რამაც გამოიწვია ტურიზმის პოპულარიზაცია და მასობრიობა, ხელი შეუწყო სპორტისა და სპორტული ტურიზმის განვითარებასაც.

ეს ტერმინიც სწორედ ამ პერიოდიდან იღებს სათავეს. გამოიყოფა თანამედროვე სპორტული ტურიზმის განვითარების 4 ძირითადი მიზეზი და თავისებურებები:

- გაფართოებული დემოგრაფიული პროფილი სპორტის მონაწილეებს შორის.
- დასავლური საზოგადოების გაძლიერებული ინტერესი 1970-იანი წლებიდან ჯანსაღ ცხოვრებაზე.
- აქტიური ჩართულობა და დამოკიდებულება რეკრეაციაზე დასვენების დროს 1980-იანი წლებიდან.
- გაზრდილი ინტერესი ზოგადად სპორტისა და სპორტული ღონისძიებების როლზე ურბანული განვითარების მხრივ (Thomas Hinch, 2004).

ტერმინი სპორტული ტურიზმის საკმაოდ ბევრი განმარტება არსებობს. სხვადასხვა მეცნიერი თავიანთ ნაშრომში სხვადასხვანაირად ხსნის სპორტული ტურიზმის არსს:

- მოგზაურობა საკუთარი საცხოვრებლიდან არაკომერციული მიზნებით, რომ მიიღო მონაწილეობა ან დააკვირდე სპორტულ ღონისძიებებს (Hall, 1992).
- დასვენების დროს ადამიანების ხასიათის თავისებურებების გამოვლინება დაკავდნენ „ხელოვნური“ სპორტით და ფიზიკური გაჯანსაღებით (Ruskin, 1987) (Thomas Hinch, 2004)
- დასვენებაზე დაფუძნებული მოგზაურობა საკუთარი საცხოვრისიდან სხვა ტერიტორიაზე ფიზიკურ აქტოვობებში ჩართულობისთვის, ფიზიკური აქტივობების საყურებლად ან ისეთი ატრაქციების მოსანახულებლად, რომელიც დაკავშირებულია სპორტულ აქტივობასთან (Gibson, 1998)
- ყველა ფორმის აქტიური ან პასიური სპორტული აქტივობა,- მონაწილეობა ორგანიზებული ან არაორგანიზებული გზით არაკომერციული მიზნებით, რომელიც გულისხმობს გადაადგილებას ჩვეული საცხოვრებელი და სამუშაო ადგილიდან (Standewan and De Knop) (Knop, 1999).

ტერმინი სპორტული ტურიზმის წარმოშობასთან ერთად წარმოიშვა კიდევ ერთი ახალი ტერმინი, სპორტული ტურისტი. სპორტული ტურისტის არაერთი განმარტება არსებობს, საიდანაც ყველაზე მეტად გამოიყენება 2 მათგანი:

- ადამიანი, რომელიც ტოვებს თავის ჩვეულ გარემოს და მიემგზავრება სპორტული ღონისძიების ადგილას მინიმუმ 24 საათით და რომლის მთავარი მიზანია მონაწილეობის მიღება (დასწრება, აქტიური თუ პასიური

ჩართულობა) სპორტულ ღონისძიებაში. ასეთ დროს ადგილი მეორადი ატრაქციის როლს თამაშობს. **(Nogawa 1996)**

- ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც აქტიურად ან პასიურად მონაწოლეობენ სპორტულ შეჯიბრებებში ან რეკრეაციულ სპორტში, მაშინ როდესაც ღამეს ათევენ სხვა ადგილას ტოვებენ თავიანთ ჩვეულ გარემოს. (სპორტი არის მოგზაურობის უმთავრესი მოტივი) **(Gammon & Robinson 1997)** (Thomas Hinch, 2004)

სტენდევანმა და დე კნოპმა შემდეგნაირად განმარტეს სპორტული ტურიზმი: ყველა ფორმის აქტიური და პასიური ჩართულობის მიზნით ტურისტულ აქტივობაში, ინდივიდუალური ან ორგანიზებული, არაკომერციული გადაადგილება საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილიდან. მათ ასევე გამოყეს ტურისტების ორი მთავარი კატეგორია: აქტიური ტურისტი - ტურისტი აქტიურად არის ჩართული სპორტულ თუ გამაჯანსაღებელ აქტივობაში დასვენების დროს; პასიური ტურისტი - ტურისტი არ მონაწილეობს სპორტულ აქტივობებში, მისი მთავარი მიზანია სპორტულ ღონისძიებებზე დასწრება (Knop, 1999). ჯოზეფ ქურცმანმა გამოყო სპორტული ტურიზმის ძირითადი კატეგორიები:

- სპორტული ტურიზმის ატრაქციები
- საკურორტო სპორტული ტურიზმი
- საკრუიზო სპორტული ტურიზმი
- სპორტული ტურიზმის ტურები
- სათავგადასავლო სპორტული ტურიზმი

- სპორტული ღონისძიებების ტურიზმი (Sport Tourism: Interrelationships, Impacts and Issues, 2004)

სპორტსა და ტურიზმა ერთმანეთთან აქვთ საკმაოდ მჭიდრო კავშირი და საერთო ინსტიტუციონალური მახასიათებლები. ორივე მათგანი არის ახალი დარგი, რომლებიც ცდილობენ იქნენ მიღებული და დაფასებული სამეცნიერო წრეებში. ორივე დისციპლინამ სისტემური ინტერესი გამოხატა სპორტული ტურიზმის მისამართით. მართლაც, სპორტსა და ტურიზმს უამრავი საერთო აქვთ, მათგან კი ყველაზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია:

- აღრმავებენ სოციალურ კონტაქტს სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის.
- შეუძლიათ კონკრეტული ტერიტორიის წარმოჩენა და ამავდროულად იყვნენ ამ ტერიტორიის იმიჯის ნაწილი.
- შეუძლიათ ისეთი ადგილების რეგენერაცია, რომელიც მანამდე ჩამორჩენილი იყო. თუნდაც თბილისის ზღვის „ოლიმპიური სოფლის“ მაგალითიც საკმარისია ამის დასტურად.
- შეუძლიათ მოიტანოს ფული კონკრეტულ ტერიტორიაზე.
- დიდ გავლენას ახდენენ ტერიტორიის ურბანულ გარემოზე.

უნდა აღინიშნოს, რომ სპორტულ ტურიზმს მჭიდრო კავშრი აქვს ტურიზმის სხვა სახეობებთანაც. ყველაზე ახლოს სპორტულ ტურიზმთან სათავგადასავლო და ექსტრემალური ტურიზმი დგანან და, ფაქტობრივად, მუდმივად კვეთენ ერთმანეთს. სათავგადასავლო ტურიზმი არის ტურიზმის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც გულისხმობს ეგზოტიკურ ადგილებში მოგზაურობას,- რაფტინგი, საჰაერო

ბურთებით მოგზაურობა, მანქანებით გაუკვალავ გზებზე მგზავრობა, დაივინგი, შვეულმფრენით გასეირნება, კლდეებზე ცოცვა, მყინვარებზე ასვლა, ალპინიზმი, ჰელიქსი, სამთო ველოტურიზმი, პარაპლანერიზმი, კანიონინგი, საცხენოსნო ტურიზმი და ა.შ. ექსტრემალური ტურიზმი მოიაზრებს მოგზაურობას ექსტრემალურ ადგილებში. მისი კარგი მაგალითებია: სქაისერფინგი - პარაშუტით გადმოხტომა სერფინგისტის დაფით; ფრირაიდი - თხილამურებით ად სნოუბორდით თავისუფალი დაშვება მთის ფერდობზე მოუმზადებელ ტრასაცე; ბანგი-ჯაფინგი - ხიდიდან ან სხვა მაღალი ნაგებობებიდან თავქვე გადმოხტომა, როდესაც მიწამდე მხოლოდ 10-დან 20 მ-მდე მეტრამდე მანძილი რჩება. ბოლო ხანებში ტურისტებს სთავაზობენ ხტომებს კანიონებში ან დაბალ სიმაღლეზე მიმავალი ვერტმფრენიდან. სპორტულ ტურიზმს ასევე მჭიდრო კავშირი აქვს ტურიზმის შემდეგ სახეობებთან: გამაჯანსაღებელი ტურიზმი(პირდაპირაა კავშირში), კულტურული ტურიზმი(ნოსტალგიური ტურიზმის შემთხვევაში), შოფტურიზმი, ეთნიკური ტურიზმი, საქმიანი ტურიზმი, აზარტული თამაშების ტურიზმი და ა. შ. (პავლიაშვილი, 2015)

1.2 სპორტული ტურიზმის განვითარება

სპორტული ტურიზმის ინდუსტრიის პროგრესი რიცხვებში რომ გამოვსახოთ, განსაკუთრებით უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში, შევამჩნევთ, თუ რამხელა განვითარება ჰპოვა მან. მართლაც, სპორტული ტურიზმის განვითარება სწრაფი ტემპით მიმდინარეობს და დღესდღეობით გლობალური მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრიაში 1 ტრილიონი დოლარის ღირებულებითაა წარმოდგენილი (UNWTO, n.d.). ბევრი მიზეზის გამო შეიძლება აიხსნას სპორტული ტურიზმის მზარდი ინდუსტრია და სპორტულ ოპერატორთა მზარდი რიცხვი, რომლებიც დღეისთვის გლობალურ ბიზნესშია წარმოდგენილი:

1) უფრო და უფრო მეტი და მრავალი სახის სპორტული ღონისძიებები იქმნება;

2) შემცირებული მგზავრობის ხარჯები. შეიქმნა რამდენიმე დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანია სპეციალურად სპორტული ტურისტებისთვის, რამაც ბევრად უფრო გაუადვილდა სპორტულ ტურისტზმს შეეღწია მსოფლიოს თითქმის ყველა სპორტულ მიმართულებით;

3) სპორტი, როგორც ჯანმრთელობა და აქტიური ცხოვრების წესი გახდა მოდური

4) სპორტი გახდა მასობრივი ბიზნესი. 20 წლის წინ სპორტი, განსაკუთრებით სპორტული ტურიზმის იყო როგორც ფუფუნება და არა ხშირი ცხოვრების წესი;

5) უფრო და უფრო მეტი ახალი და თანამედროვე ტექნოლოგიები დამკვიდრდა სპორტული ტურიზმის საქმიანობაში (Sport Tourism: New Challenges in a Globalized World, 2017).

მაგალითისთვის, საფრანგეთმა, რომელიც ტურისტების რაოდენობით პირველ ადგილზეა, 2017 წელს უმასპინძლა 89 მილიონ ტურისტს, საიდანაც 20% სპორტულ ტურისტებად ჩაითვალა. საინტერესოა, რომ 2005 წელს სპორტულ ტურიზმში დახარჯული თანხა $3.1 მილიარდს შეადგენდა, რომელიც 2014 წელს ფაქტობრივად გასამმაგებულია და $8,96 მილიარდს შეადგენს. 2014 წელს 25,65 მილიონი პასიური (სპორტულ ღონისძიებებზე დასწრება ან მასში მონაწილეობა), რაც წინა წელთან შედარებით 3%-იანი ზრდა იყო. თუ ამ რიცხვებით ვიმსჯელებთ, სპორტული ტურისტები ხარჯავენ დაახლოებით იმდენს, რამდენსაც სხვა ტიპის ტურისტები (World Sport Tourism Show, 2018). ჯერ არ არის ცნობილი, თუ რამდენი იყო პასიური საერთაშორისო სპორტული ტურისტების რაოდენობა და მათი დანახარჯები 2019 წელს, თუმცა როგორც სპორტის ნაციონალური ასოციაცია წერს, წესით წინა წლებთან შედარებით ეს რიცხვები საკმაოდ გაზრდილი უნდა იყოს. საინტერესოა, რომ 84% სპორტული ტურისტებისა მაყურებლები, უმეტესად კი მამაკაცები არიან, მათი 58% კი უკან ბრუნდება სპორტულ დესტინაციაზე ოჯახთან ერთად. თუ პასიურ

სპორტულ ტურისტებს დავუმატებთ აქტიურ სპორტულ ტურისტებს (ტურისტული მოგზაურობა, რომლის დროსაც ტურისტები დაკავებულნი არიან მათი საყვარელი სპორტის სახეობით, რაც დიდ შემთხვევაში რეკრეაციასაც მოიაზრებს), მაშინ მართლაც ასტრონომიულ რიცხვებთან გვაქვს საქმე (National Association Of Sports Commissions, 2019).

სპორტული ტურიზმის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს გლობალური სპორტული ღონისძიებების პოსტ შედეგები კონკრეტული ქვეყნების მაგალითზე. ამის კარგი მაგალითია სამხრეთ აფრიკა, გერმანია, დიდი ბრიტანეთი. მაგრამ საბოლოო შედეგები ყოველთვის პოზიტიური არაა. საამაყოა, როდესაც ქვეყანა იღებს პასუხისმგებლობას უმასპინძლოს საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებას, რომ მიიღოს ქვეყანამ ეკონომიკური სარგებელი, შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები, გაიზარდოს ქვეყნის იმიჯი, გაუჩნდეთ ადამიანებს სიამაყის გრძნობა. მაგრამ ამავე დროს მისგან სარგებლის და რისკების პროგნოზირება უმნიშვნელოვანესია, რადგან მოლოდინზე გაცილებით ნაკლები ან მეტი ვიზიტორების მიღება, ორივე შემთხვევაში, დააზარალებს, როგორც ქვეყნის ეკონომიკას ასევე იმიჯსაც. მაგალითად, ბრაზილიამ, რომელმაც უმასპინძლა 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატს ფეხბურთში, დიდი ეკონომიკური სარგებელი ვერ ნახა. პირიქით, ბრაზილიის საავიაციო ასოციაციის მიხედვით, საჰაერო ფრენები 11-15%-ით შემცირდა 2014 წელს წინა წლებთან შედარებით. ეს ციფრი გასაკვირია, რადგან ამ წელს ბრაზილიას 1 მილიონი სპორტული ტურისტი ესტუმრა, რომელთა საერთო დანახარჯებმა $13.2 მილიარდი დოლარი შეადგინა. თუმცა, ქვეყანასაც ღონისძიების მოსამზადებელი სამუშაოები დაახლოებით ამდენივე დაუჯდა. კიდევ ერთი სფერო, რომელიც ჩემპიონატის შემდგომ დაზიანდა, ეს არის დასაქმების ინდუსტრია. განსხვავებული სიტოაცია იყო 2 წლის შემდეგ, როდესაც ბრაზილიამ ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლა (TravelWires, 2015). 2016 წელს ბრაზილიაში ჩასულ ტურისტთა რაოდენობამ რეკორდულ ნიშნულს მიაღწია, რაც დიდწილად სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე გამართულმა პირველმა ოლიმპიურმა თამაშებმა განაპირობა,

რომელსაც რიომ უმასპინძლა. საერთაშორისო ტურისტთა რიცხვმა 6,6 მილიონს მიაღწია, რაც ბრაზილიის ტურიზმის სამინისტროს განცხადებით წინა წელთან შედარებით 4,8 %-ით მეტია. მათ მიერ დახარჯულმა თანხამ $6,2 მილიარდი შეადგინა, მაშინ როდესაც წინა წელს ეს რიცხვი $5,84 მილიარდს შეადგენდა. ბრაზილია სამხრეთ ამერიკაში ყველაზე მონახულებადი ქვეყანაა, თუმცა ის ძალიან ჩამორჩება მსოფლიოს მოწინავე სახელმწიფოებს. ბრაზილიის ტურიზმის მინისტრმა განაცხადა, რომ მათ კიდევ ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი, რათა ბრაზილიაში ტურისტების რაოდენობა გაიზარდოს. მათ ჩაატარეს კვლევა, რის მიხედვითაც ოლიმპიურ თამაშებზე ჩასულ ტურისტთა 95 % უკან, ბრაზილიაში აპირებდა დაბრუნეს. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს კვლევა ვალიდურია, რადგან 2017 წელს ბრაზილიაში ტურისტთა რაოდენობის ზრდა შეინიშნებოდა (Brazil National Olympic, 2019).

1.3 ოლიმპიური თამაშები

თანამედროვე ოლიმპიური თამაშები, ანუ ოლიმპიადა წარმოადგენს წამყვან საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებას, რომელიც აერთიანებს ზაფხულისა და ზამთრის სპორტულ შეჯიბრებებს. ოლიმპიადაში, სპორტის სხვადასხვა სახეობაში, მონაწილეობას იღებს ათასობით სპორტსმენი მთელი მსოფლიოდან. ოლიმპიური თამაშები მიიჩნევა მსოფლიოს მთავარ სპორტულ შეჯიბრად, რომელშიც მონაწილეობას 200-ზე მეტი ქვეყანა იღებს. ის იმართება ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ (იხილეთ დანართი, ცხრილი #1). 1992 წლამდე ზაფხულისა და ზამთრის თამაშები ერთსა და იმავე წელს იმართებოდა, 1994 წლიდან კი მონაცვლეობით ტარდება, ორწლიანი ინტერვალით.

ოლიმპიადის შექმნის იდეა ანტიკური ოლიმპიური თამაშებით იყო შთაგონებული, რომელიც ტარდებოდა ოლიმპოში, საბერძნეთში, ძვ.წ მე-8 საუკუნიდან ახ.წ მე-4 საუკუნებმდე. 1894 წელს ბარონ პიერ დე კუბერტინმა დააარსა

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი (სოკ), რომლიც შედეგადაც 1896 წელს პირველად გაიმართა თანამედროვე თამაშები ათენში. სოკ-ი წარმოადგენს ოლიმპიური მოძრაობის მმართველ ორგანოს, ხოლო მის სტრუქტურასა და უფლებამოსილებას განსაზღვრავს ოლიმპიური ქარტია. მე-20 და 21-ე საუკუნეების განმავლობაში ოლიმპიური მოძრაობის ევოლუციამ გარკვეული ცვლილებები შეიტანა ოლიმპიურ თამაშებში. მაგ. ზოგიერთი შესწორება მოიცავს ზამთრის თამაშების შექმნას თოვლისა და ყინულის სპორტის სახეობებისთვის; პარაოლიმპიადის თამაშების შექმნას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სპორტსმენებისთვის; ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების შექმნას 14-დან 18 წლამდე სპორტსმენებისთვის; ხუთი კონტინენტური თამაშის შექმნას (პან ამერიკული, აფრიკული, აზრიური, ევროპული და წყნაროკეანური) და ასევე მსოფლიო თამაშების შექმნას, რომლებიც არ არის წარმოდგენილი ოლიმპიადაზე.

ოლიმპიური მოძრაობაში შედის სპორტის საერთაშორისო ფედერაციები, ნაციონალური ოლიმპიური კომიტეტები და თითოეული ოლიმპიური თამაშის ორგანიზაციული კომიტეტები. გადაწყვეტილების მიმღები ორგანო სოკ-ი პასუხისმგებელია მასპინძელი ქალაქის არჩევაზე ყოველი ოლიმპიადისთვის და ასევე ორგანიზებას უწევს და აფინანსებს თამაშებს ოლიმპიური ქარტიის თანახმად. სოკ-ი ასევე განსაზღვრავს ოლიმპიურ პროგრამას იმ თამაშების მიხედვით, რომლებიც წარმოდგენილი იქნება ოლიმპიადაზე. (იხილეთ დანართი, რუკა #1 და რუკა #2)

არსებობს სხვადასხვა ოლიმპიური რიტუალი და სიმბოლო, როგორიც არის ოლიმპიური დროშა და ჩირაღდანი, ასევე გახსნისა და დახურვის ცერემონიები. 13 ათასზე მეტი ათლეტი მონაწილეობს ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე 33 განსხვავებულ სპორტის სახეობასა და დაახლოებით 400 შეჯიბრში. პირველ, მეორე და მესამე-ადგილოსნები ყოველ შეჯიბრში იღებენ ოლიმპიურ მედლებს: ოქროს, ვერცხლსა და ბრინჯაოს ადგილების შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ თამაშები გაიზარდა იმდენად, რომ ახლა წარმოდგენილია თითქმის ყოველი სახელმწიფო. ამ ზრდამ გამოიწვია მრავალი ცვლილება და წინააღმდეგობა, ბოიკოტის, დოპინგის, მექრთამეობის და ტერორისტული შეტევის (1972) ჩათვლით.

ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ოლიმპიადა და მისი მედია გაშუქება აძლევს სპორტსმენებს შესაძლებლობას მიაღწიონ ეროვნულ და ზოგჯერ საერთაშორისო ცნობადობას. ოლიმპიური თამაშები ასევე აძლევს შესაძლებლობას მასპინძელ ქალაქსა თუ ქვეყანას, წარმოაჩინოს საკუთარი თავი მთელი მსოფლიოს წინაშე. (Olympic Games Official Website, 2019)

ოლიმპიური ბოიკოტები.

ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ბოიკოტის უამრავი შემთხვევა ყოფილა, თუმცა მათგან გამოსარჩევია მოკოვისა და ლოს ანჯელესის ოლიმპიადები. 1980 წელს ზამთრის 22-ე ოლიმპიურ თამაშებს მოსკოვმა უმასპინძლა, აღნიშნულ შეჯიბრებაზე 80 სახემწიფო მონაწილეობდა, თუმცა მათ შორის არ იყო ა.შ.შ., რადგან მათ საბჭოთა კავშირს და მათ რეჟიმს ბოიკოტი გამოუცხადეს. ანალოგიური ფაქტი დაფიქსირდა 4 წლის შემდეგ, როდესაც 23-ე ოლიმპიურ თამაშებს ლოს ანჯელესი მასპინძლობდა. ამ შემთხვევაში საბჭოთა კავშირმა 4 წლის წინანდელ ბოკოტს ბოიკოტითვე უპასუხა და 1984 წელს გამართულ თამაშებზე არ გამოცხადდა. ოლიმპიადის ისტორიაში უკანასკნელი ბოიკოტი 1988 წელს დაფიქსირდა, როდესაც ჩრდ. კორეა სეულის ოლიმპიადაზე არ გაემგზავრა. (Olympic Games Official Website, 2019)

თავი II. სპორტული ტურიზმის საქართველოში; სამხრეთ კავკასიის რეგიონის შედარებითი ანალიზი

2.1 სპორტული ტურიზმი საქართველოში

საქართველოში სპორტული ტურიზმის ცნება არ არის ახალი. სპორტისა და ტურიზმის მნიშვნელობასა და მათ შორის არსებულ კავშირზე საკმაოდ ბევრი სტატია, კრებული თუ ნაშრომი აქვს მიძღვნილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის განყოფილების გამგეს, მთავარ მეცნიერსა და კომისიის წევრს, ბატონ ვაჟა ნეიძეს. იგი, ფაქტობრივად ერთადერთი მეცნიერია, რომელიც ამ საკითხზე მუშაობდა წლების განმავლობაში.

საქართველოში სპორტული ტურიზმი ბოლო წლებია წინსვლასა და პროგრესს განიცდის. ეს, თავის მხრივ გულისხმობს იმას, რომ ქვეყანას არა მხოლოდ სპორტული მოედნები, საცურაო კომპლექსები ან დარბაზები, არამედ ტურიზმის არსებობისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურაც უნდა გააჩნდეს. შესაბამისად, საქართველო სპორტული ტურიზმისთვის პერსპექტივაში მიმზიდველი დესტინაციაა, რადგან ტურისტული ინფრასტრუქტურაც საკმაოდ დიდ პროგრესს განიცდის, თუმცა, რა თქმა უნდ,ა ეს არ არის საკმარისი. ამ დანაკლისს, ნაწილობრივ, ანაზღაურებს საქართველოს ოთხსეზონიანი კურორტები, სადაც თავისუფლადაა შესაძლებელი სპორტული ტურიზმის განვითარება. (ტურიზმის განვითარების ხელშეყწობა საქართველოში, 2017)

როგორც აღვნიშნე, საქართველოს ტურისტული სეზონების მხრივ აქვს პოტენციალი, თუნდაც სამთო-სათხილამურო ტრასების მხრივ. ბაკურიანი და გუდაური საკმაოდ ბევრ სპორტულ ტურისტს იზიდავს, მაგრამ ორივე მათგანს აქვს შესაძლებლობა, რომ კიდევ უფრო განვითარდნენ და არა მხოლოდ ადგილობრივ,

არამედ საერთაშორისო ტურნირებსაც უმასპინძლონ. ახლო მომავალში მოსალოდნელია მესტიისა და ბახმაროს ტერიტორიაზე სამთო-სათხილამურო ტრასების მოწყობა, რაც სპორტული ტურიზმის თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი, წინგადადგმული ნაბიჯი უნდა იყოს. სხვათა შორის, სამთო-სათხილამურო კურორტების გაცოცხლების და განვითარების ერთ-ერთი მიმართულებად სამთო ველოსიპედების შეჯიბრი შეიძლება დასახელდეს.

საქართველოს საზღვაო კურორტები საკმაოდ ბევრ სპორტულ ტურისტს იზიდავს. ამ მხრივ აღსანიშნავია ბათუმი, სადაც არის ყინულის მოედანი, საჩოგბურთო კორტები (იმართება საერთაშორისო ტურნირი), იახტკლუბები, ფრენბურთის მოედნები. არის ვარაუდი, რომ იახტ-კლუბები შეიძლება გაკეთდეს არასაზაფხულო სეზონისთვისაც. მაგალითად შემოდგომაზე, როდესაც ყველაზე კარგი პერიოდია იახტების შეჯიბრისთვის. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს გამოიწვევს შავი ზღვის სანაპიროს შედარებით ''მკვდარი'' სეზონის გაცოცხლებას. აგრეთვე, კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე შესაძლებელია კაიაკინგის ღონისძიებების მოწყობა.

მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს ექსტრემალური და სათავგადასავლო ტურიზმის მიმართულებებზეც. ამ მხრივ საინტერესოა მეკლდეურობა და ალპინიზმი, განსაკუთრებით სვანეთის, რაჭისა და მცხეთა-მთიანეთის ტერიტორიებზე. საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული სახეობა ამ მხრივ არის ჯომარდობა. ჯომარდობის განვითარებისთვის და მეტი სპორტული ტურისტის მოზიდვისთვის მრავალი ტერიტორია გამოირჩევა თავისი პოტენციალით. ჯომარდობისთვის ბევრი რეგიონის გამორჩევა შეიძლება, თუნდაც ბორჯომის ხეობა, ასევე რაჭა, მდინარე რიონი და არაგვი, გურიაში მდინარე ბჟუჟზე და ა.შ. (tourism in Georgia, n.d.)

ექსტრემი დღეს ბევრ ადამიანს იზიდავს, შეიძლება ითქვას, რომ ექსტრემალური გართობები 21-ე საუკუნის სენია. გართობის ეს მიმართულება განსაკუთრებული

მოთხოვნით ზაფხულში სარგებლობს. საქართველოს ტერიტორიაზე გვხვდება უამრავი სახის ექსტრემალური გართობის საშუალებები, რომლებსაც ქვემოთ მიმოვიხილავ.

ზიპლაინი - წარმოადგენს ექსრემალურ ატრაქციონს, ის არის გაჭიმულ ფოლადის კაბელზე მოძრავი როლერი, რომლითაც შესაძლებელია ერთი პუქტიდან მეორე პუნქტამდე დაშვება. ზიპლაინი საქართველოსში რამდენიმე ადგილას მდებარეობს: მტირალას ეროვნული პარკი, თბილისი (ნარიყალა), თბილისი (კუს ტბა), სიღნაღი, ფშავი, ფასანაური და საირმე. საქართველოში ყველაზე გრძელი, 800 მეტრიანი, ზიპლაინი საირმეში მდებარეობს. ხოლო მისი ფასი ქართველებისათვის 30, ხოლო უცხოელი ტურისტებისათვის 50 ლარია.

პარაპლანი - თავისუფლად მფრენი აპარატია, რომლის აფრენა, მართვა და მიწაზე დაშვება ადამიანის მიერ ხორციელდება. პარაპლანით ფრენა თბილისსა და რუსთავში ყოველ შაბათ-კვირასაა შესაძლებელი. ფრენა ასევე შესაძლებელია ყაზბეგში, სიღნაღში, სვანეთში, თიანეთში, გუდაურში და საქართველოს ზღვისპირა რეგიონებში. რაც შეეხება ფასებს, გუდაურში სტანდარტული ფრენის ღირებულება 250 ლარია, ფრენის ხანგრძლივობა შეადგენს 15 წუთს და მასში ასევე შედის ვიდეო გადაღებაც.

ჯომარდობა - ზაფხულში ექსტრემალური გართობის პოპულარული საშუალებაა. სპორტის ეს სახეობა პოპულარული ხდება 1970-იანი წლებიდან. ჯომარდობისთვის გამოიყენება გასაბერი ნავი, რომლითაც დაშვება ხდება სხვადასხვა სირთულის მთის მდინარეებზე. საქართველოს ტერიტორიაზე ჯომარდობა გვხვდება შემდეგ მდინარეებზე: მტკვარი (ბორჯომი), თეთრი არაგვი, რიონი, ცხენისწყალი. ბორჯომში ჯომარდობა ერთ ადამიანზე 40 ლარი ღირს, ხოლო რიონზე, სადაც დაშვებისთვის გამოცდილებაა საჭირო ფასი 80 ლარს შეადგენს.

ატრაქციონი - ექსტრემალური ატრაქციონების მოყვარულებისთვის საქართველოში რამდენიმე პარკია. მაგალითად ერთ-ერთი მათგანია, გურიაში

არსებული პარკი ''ციცინათელა'', სადაც რამდენიმე ექსტემალური ატრაქციონია. მათი ფასები კი ასე გამოიყურება: ''კამიკაძე'' - ღირებულება 7 ლარი, ''ბუსტერი'' – 10 ლარი, სწრაფი ვარდნა - 6 ლარი, ''როლერ კოსტერი'' – 10 ლარი. თბილისში არსებულ მთაწმინდის პარკში კი ფასები ასეთია: ''ამერიკული მთები'' – 10 ლარი, რაფტინგი - 5,5 ლარი.

ზღვის ექსტრემალური გასართობები - საზღვაო კურორტებზე ჩასულ დამსვენებლებს ექსრემალური დასვენების მოყვარულებს სხვადასხვა გართობის საშუალებას სთავაზობენ. პლაჟზე მყოფი დამსვენებელი ძირითადად, რგოლებით, საზღვაო ბანანით, პარაშუტითა და სკუტერებით გასეირნებას ირჩევს. მაგალითად ბათუმში, ფასები შემდეგნაირია: პარაშუტით გასეირნება 80 ლარი, ხოლო ქობულეთში 50 ლარადაა შესაძლებელი პარაშუტით ფრენა. რაც შეეხება სკუტერს, მისით გასეირნების ღირებულება 50 ლარია.

x-პარკი - ეს არის სათავგადასავლო პარკი, რომელიც მდებარეობს ფშავში. ის წარმოადგენს თოკებისაგან შექმნილ სპორტულ გასართობ ადგილს, რომელიც ყველა ასაკის ადამიანისთვისაა. მარტივი ტრასის ფასი 20 ლარია, ხოლო რთული ტრასის ღირებულება 30 ლარს შეადგენს.

ოფროუდი - სპორტის ეს სახეობა საქართველოში სულ უფრო პოპულარული ხდება. სპორტის ეს სახეობა ავტომობილით რთული წინააღმდეგობის გადალახვას ითვალისწინებს. საქართველოს ტერიტორიაზე მსოფლიო დონის შეჯიბრებები იმართება, სადაც სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებიც მონაწილეობენ. გარდა საერთაშორისო შეჯიბრებებისა, ოფროუდში ხშირად სამოყვარულო ტურნირებიც იმართება. მისი ღირებულება დამოკიდებულია კონკრეტულ შეჯიბრზე. (Allnews, 2018)

კაიაკინგი - საქართველოში სპორტის შედარებით ახალი სახეობაა, ჯომარდობისაან განსხვავებით ის უფრო რთულია. გურიაში, ოზურგეთთან ახლოს მდინარე ბჟუჟზე უკვე რამდენიმე წელია ყოველწლიურად კაიაჯინგში ევროპის თასი

იმართება. უკანასკნელ შეჯიბრში 11 ქვეყნის 53 სპორტსმენი მონაწილეობდა. ღონისძიება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მხარდაჭერით გაიმართა. კაიაკინგის პირველი საერთაშორისო ტურნირი ''BZHUZHA RACE'' საქართველოს კაიაკინგის ეროვნული ფედერაციის ინიციატივით და გურიის სამხარეო ადმინისტრაციის ხელშეწყობით ჩატარდა. (საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2018)

გარდა ამისა, აუცილებლად უნდა გამოიყოს 2017 წელს, Check in Georgia-ს ფარგლებში, საქართველოში გამართული 13 საერთაშორისო სპორტული ღონისძიება. ეს ღონისძიებებია:

1. ძიუდოს გრან პრი

2. საერთაშორისო ჩემპიონატი ავტორბოლაში

3. დევისის თასის მატჩი, საქართველო – ლიეტუვა

4. ევროპის ჩემპიონატი სუმოში

5. მსოფლიო რბენა – Wings For Life

6. ევროპის ჩემპიონატი უშუში

7. ევროპის ჩემპიონატი ჯომარდობაში

8. მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი რაგბიში

9. ევროპის ჩემპიონატი ფარიკაობაში

10. ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი ფეხბურთში

11. მსოფლიო ახალგაზრდული ჩემპიონატი ხელბურთში

12. მსოფლიო თასი ჭადრაკში

13. ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი ქალთა შორის ფრენბურთში

შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ღონისძიებების მასპინძლობა მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ საქართველო თავს იმკვიდრეს მსოფლიო სპორტული ტურიზმის რუკაზე. აღნიშნული ღონისძიებების მიზანს წარმოადგენდა ის რაც ზოგადად Check in Georgia-ს მიზანია: მეტი ადამიანი ჩამოვიდეს ჩვენს ქვეყანაში, გაატაროს საუკეთესო დრო, მიიღოს პროფესიული გამოცდილება, დაისვენოს, მონიშნოს საკუთარი ყოფნა საქართველოში მსოფლიო რუკაზე. აღნიშნული სპორტული ღონისძიებების ფარგლებში, საქართველოს 70-მდე ქვეყნის უამრავი ტურისტი ესტუმრა.

სპორტული ინფრასტრუქტურა სპორტული ტურიზმის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, შეიძლება ითქვას რომ ის ერთგვარ მატერიალურ ბაზას წარმოადგენს, რომლის გარეშეც შეუძლებელია არსებული პოტენციალის გამოყენება.

ამ დროისთვის საბჭოთა პერიოდის სპორტული ინფრასტრუქტურის ძალიან დიდი ნაწილი განადგურებულია. გადარჩენილი ნაწილი კი ან განახლებას საჭიროებს, ან არ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. გამომდინარე აქედან, აუცილებელია ახალი სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე შემორჩენილი ძველი ინფრასტრუქტურის აღდგენა და განახლება.

საქართველოს ტერიტორიაზე (გარდა თბილისისა) ფიქსირდება სპორტული ობიექტების შემდეგი რაოდენობა: სპორტული დარბაზი - 32, სტადიონი - 35, ფეხბურთის მოედანი (ზომა105x68) – 18, საცურაო აუზი - 12, რაგბის მოედანი - 4, ჩოგბურთის კორტი - 21, ძალოსნობის დარბაზი - 4, კრივის დარბაზი - 9, სასროლეთი - 3 სათხილამურო ბაზა - 3, სანიჩბოსნო ბაზა 3, ღია ტიპის კომპლექსური მოედანი - 150.

უმეტესობა მათგანი არ პასუხობს მოთხოვნებს, არ არის ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის კონტროლის სისტემა, ასევე მოძველებულია სპორტული ინვენტარი, რომელიც გამოცვლას საჭიროებს.

უკეთესი სიტოაციაა თბილისში, სადაც მოქმედებს შემდეგი ობიექტები: სტადიონი - 3, სპორტის სასახლე - 2, სპორტული კომპლექსი - 11, ჭადრაკის სასახლე - 1, ტანვარჯიშის დარბაზი - 2, საკალათბურთო დარბაზი - 4, ფიგურული სრიალის მოედანი - 1, საცურაო აუზი - 7, კრივის დარბაზი - 2, საფეხბურთო ბაზა - 8, საჩოგბურთო კორტი - 5, ველოტრეკი - 3, სასროლეთი - 2, რაგბის ბაზა - 4 და მძლეოსნობის დახურული მანეჟი - 1. (იხილეთ დანართი, ცხრილი, #2)

აღნიშნული სპორტული კონპლექსების ნაწილი ქალაქის მერიის საკუთრებაშია, ნაწიკი კი კერძო სექტორის მფლობელობაში. მათი მდგომარეობა ბევრად დამაკმაყოფილებელია, ვიდრე რაიონებში არსებული სპორტული ობიექტების. თუმცა ამ შემთხვევაში ვაწყდებით სხვა სახის პრობლემას. თბილისში არსებული ობიექტების უმეტესობა არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, რაც შეუძლებელს ხდის მაღალი რანგის ღონისძიებების მასპინძლობას. (იხილეთ დანართი, რუკა #3) (კეკელია, 2017)

მნიშვნელოვანია გამოვყოთ ორი დიდი საერთაშორისო ღონისძიება, რომელთაც თბილისმა უმასპინძლა და რომლებმაც პოზიტიური როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკასა თუ იმიჯზე. პირველი მათგანი, ეს არის 2015 წლის ახალგაზრდული ოლიმპიადა, რომელმაც 50 ქვეყნის 3304 მონაწილეს უმასპინძლა. (Tbilisi 2015, 2015) მეორე მათგანი არისც 2015 წლის ევროპის სუპერთასი ფეხბუთში, რომლის დროსაც 10 ათასზე მეტი სპორტული ტურისტი ჩამოვიდა თბილისში. (საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, 2015)

რატომ იყო ზემოდხსენებული სპორტული ღონისძიებები პოზიტიური მნიშვნელობის საქართველოსთვის? დავიწყოთ იმით, რომ ოლიმპიადიდან (და სხვა საერთაშორისო სპორტული ღონისძიებებიდან) ქვეყანას პირდაპირი და

არაპირადაპირი სარგებლის მიღება შუძლია. საერთაშორისო სპორტული ოლიმპიადიდან ქვეყნები თუ ქალაქები პირდაპირ ეკონომიკური სარგებელს პირველ რიგში მაყურებელთა მიერ დახარჯული თანხებით იღებს. ოლიმპიურ თამაშებზე რამდენიმე მილიონი ბილეთი იყიდება. ასეთივე მასშტაბის არის განთავსების საშუალებების და კვების ობიექტების მომსახურების მიღება. მსგავსი ტიპის საერთაშორისო ფართომასშტაბიანი სპორტული ღონისძიების ჩატარება მოითხოვს შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობას. ამ მიზნით, შენდება სპორტული მოედნები, განთავსების საშუალებები, გზები და სხვა საკომუნიკაციო საშუალებები. რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, სპორტული ღონისძიების დასრულების შემდგომ აღნიშნული ინფრსატრუქტურა ბუნებრივია რჩება ქვეყანას და მისი გამოყენება რამდენიმე ათეული წელი შეუძლია, ასეთი ინფრასტრუქტურის არსებობა სტიმულს აძლევს ირგვლივ არსებულ ბიზნესს და შემდგომში ასტიმულირებს, რომ განვითარდეს სხვადასხვა ბიზნესი. გარდა ამისა, არის სხვა შემოსავლების შესაძლებლობაც, მაგალითად ასპეროზობის და თამაშების ტრანსლაციის უფლება და ა.შ. შეგვიძლია ვთქვათ, რომ თბილისისთვის ამ მეორადმა სპორტულმა ღონისძიებამაც კი ძალიან დიდი შედეგი მოიტანა. პირველ რიგში ქალაქის ურბანული მახასიათებლები შეიცვალა. ოლიმპიური სოფლიდან გაჩნდა ახალი დასახლება თბილისის ზღვასთან, სადაც დღეს ადგილობრივი მოსახლეობა ცხოვრობს. რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ქვეყანა მოინახულა 15 ათასამდე სპორტულმა ტურისტმა, რაც ამ დონის ტურნირისთვის საკმაოდ კარგი შედეგია. (Tbilisi 2015, 2015) სამწუხაროდ, არ შემიძლია ვისაუბრო მათ დანახარჯებზე ინფორმაციის ნაკლებობის გამო.

საქართველოს სპორტულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ეროვნულ სპორტულ სახეობებს, რომლებიც ქვეყნის კულტურისა და იმიჯის ერთ-ერთ მახასიათებელს წარმოადგენს.

ქართულ ტრადიციულ და ეროვნულ სპორტულ სახეობებს შორის, ერთ-ერთი მოწინავე ადგილი თავისი ისტორიითა და მნიშვნელობით, უკავია ლელოს, იგივე ლელობურთს. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ბრძანებით არამატერიალური მემკვიდრეობის ელემენტს ლელობურთს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. ლელობურთს ორასწლოვანი ისტორია აქვს და ყოველწლიურად, აღდგომის დღესასწაულზე ტარდება გურიაში, კერძოდ კი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ შუხუთში. გადმოცემის მიხედვით, ამ მიდამოებში, 1854 წლის მაისში, გურულების მცირე რაზმმა თურქთა სარდლის სელიმ ფაშას დიდძალი ჯარი ამოხოცა, მათ შორის მოღალატე ჰასან-ბეგ თავდგირიძე და შუხუთფერდის სახელით ცნობილ ბრძოლაში ისტორიული გამარჯვება იზეიმა. მას მერე, აქ ურთიერთობას ლელოს გატანაში ზემოურები და ქვემოურები არკვევენ. აქედან გამომდინარე, ლელობურთს სიმბოლური დატვირთვა აქვს. თამაშში სულ რაღაც ორი გუნდი მონაწილეობს, ზემო შუხუთისა და ქვემო შუხუთის გუნდები, სადაც მოთამაშეების რაოდენობა არ არის განსაზღვრული. რაც უფრო მეტი ადამიანია წარმოდგენილი გუნდში, ამით მისი გამარჯვების შანსი მხოლოდ იზრდება. ლელობურთს ქვიშითა და ნახერხით დატენილი ბურთით თამაშობენ, რომელიც უშუალოდ თამაშის წინ შემოაქვთ ხოლმე. ბურთი 16 კილოგრამი უნდა იყოს. (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამინისტრო, 2019) ადგილობრივების თქმით, ლელობურთის დროს შუხუთს სტუმრობენ არა მხოლოდ ქართველები, ასევე ტურისტები სხვადასხვა ქვეყნიდან. აღსანიშნავია, რომ სოფელში მხოლოდ ერთი სასტუმროა წარმოდგენილი, რომელიც ყოველ წელს უცხოელი ტურისტებით ივსება, რომლებიც არიან ევროპიდან, პოსტ-საბჭოთა სივრციდან, აშშ-დან და ასე შემდეგ. ლელობურთი არის არა მარტო შუხუთის, არამედ მთელი გურიისა და ქვეყნის სავიზიტო ბარათი და ჩვენ სწორად უნდა ვაჩვენოთ ის უცხოელებს, რაც, საბოლოო ჯამში, რეგიონში ტურისტების ნაკადის გაზრდას გამოიწვევს.

საქართველოში კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ეროვნული სპორტია ქართული ჭიდაობა. 2014 წელს 29 ნოემბერს მიიღეს, მავრიკის ქალაქ პორტ-ლუისში, იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მთავრობათაშორისი კომიტეტის სხდომაზე ქართული მრავალხმიანობის, ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდისა და ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურის შემდეგ - იუნესკოს მსოფლიოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში გაწევრიანდა ტრადიციული ქართული ჭიდაობა. (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამინისტრო, 2019) ქართული ჭიდაობის წარმოშობა უძველეს ხანას უნდა უკავშირდებოდეს და უპირველეს ყოვლისა ის საბრძოლო დანიშნულების იყო.დღეს, ქართული კუთხური ჭიდაობის სახეები ილეთების აღწერილობისა თუ ტერმინების სახით 23 ერთეულამდე აღწევს და მოიცავს ძალზედ სპეციფიურ და საინტერესო სახეებს, როგორიცაა: იმერული "საბეჭურიდან ჭიდაობა", სვანური "ლიბრგიელ" ქამარში ჩავლებით ჭიდაობა, მისი მსგავსი რაჭული "ბეჭ და ბეჭ ჭიდაობა", სვანური "ლიბუნძგვალ" (ჯგუფური ჭიდაობა), ხევსურული "მოშ და მოშ" (ფეხის გარეშე) და "მუქასრისა" (ფეხსაც ხმარობენ), რაჭული "ღოჯური" (ღოჯური ჩაჭიდებით), მეგრული "რკინება", გურული "ჭედობა", ქიზიყური "მკლავმობმით", აჭარული "მატეკრობა", მთიულური "იღლიღორა", ასევე საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში მეტ-ნაკლებად გავრცელებული "მაჯურა" (გამარჯობის თქმისას ხელის ჩაკიდების პოზიციიდან ჭიდაობა), "მკერდაობა" (ხელების გამოუყენებლად), "ცალხელა" (მხოლოდ ერთი ხელის გამოყენებით), თვალახვეული ჭიდაობა და ა.შ. (საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, 2006)

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ერთ-ერთი პრიორიტეტი სწორედ სპორტული ტურიზმის პოპულარიზაცია ქართულ ბაზარზე სპორტული ტურისტების მაქსიმალური მოზიდვაა. საქართველოს ტურიზმის სტრატეგიაშიც მკაფიოდაა აღნიშნული სპორტული ტურიზმი, როგორც ტურიზმის სექტორის

პრიორიტეტული. (ადმინისტრაცია, 2025) ამის დასტურია მრავალი კამპანია და პროექტი, რომელსაც ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია პერიოდულად ატარებს საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე. მაგალითისთვის, სპორტული ტურიზმის განვითარების მიზნით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასა და კომპანია Prime Sports Management-ს შორის მემორანდუმი გაფორმდა. კომპანია PSM-ის და მისი შვილობილი ორგანიზაციების: Fight Nights Georgia-სა და Travel and Events Georgia-ს ორგანიზებით საქართველოში დაიგეგმა შემდეგი სპორტული ღონისძიებები:

• Fight Nights Global 52 (შერეული ორთაბრძოლები);

• მსოფლიო თასი ძალოსნურ სამჭიდში;

• MMA ევროპის ჩემპიონატი (შერეული ორთაბრძოლები);

• Marspo ბათუმი (სპორტული მარკეტინგის საერთაშორისო კონფერენცია);

• საქართველო-მსოფლიო ნაკრები (შერეული ორთაბრძოლები);

• 5-7 დეკემბერი – Fight Nights Global (შერეული ორთაბრძოლები);

• 2017 წლის თებერვალი – აბრეშუმის გზის თასი კიკბოქსინგში;

ყველა აღნიშნული ტურნირი ტრადიციულ სახეს მიიღებს. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის აზრით, მსგავსი სპორტული ღონისძიებები მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს ქვეყნის ცნობადობის ამაღლებას და გაზრდის საერთაშორისო მოგზაურთა რაოდენობას. დაგეგმილი აქტივობების ფარგლებში, საქართველოს სხვადასხვა ქვეყნიდან წელს 4000-4500 სტუმარი ეწვია. (საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2017)

ასევე აღსანიშნავია, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს აქტიური მუშაობა გლობალური საერთაშორისო სპორტული

ღონისძიებების მასპინძლობისთვის. მაგალითად, ქვეყანამ გამოთქვა სურვილი უმასპინძლოს ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს 2030 წლისთვის. აგრეთვე არის სურვილი, რომ თბილისში გაიმართოს 2020-21 წლების სეზონის ევროპა ლიგის ფინალი. თბილისის კანდიდატურამ უკვე გადალახა რამდენიმე ეტაპი და ფინალურ ეტაპზე მეტოქედ შემორჩა მხოლოდ სევილია (ესპანეთი). (საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2018)

უმნიშვნელოვანესია საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებზე წარმომადგენლობითობა და წარმატება, რაც სპორტული ტურისტების დიდ ინტერესს იწვევს შემდგომში ამ ქვეყანაში მოგზაურობისთვის. უპირველესად კი, მსგავსი ღონისძიება მსოფლიო ოლიმპიური თამაშებია. საქართველო თავდაპირველად ოლიმპიურ თამაშებზე საბჭოთა კავშირის სახელით იყო წარმოდგენილი, ხოლო დამოუკიდებლად პირველად 1996 წელს ატლანტას ოლიმპიადაზე წარსდგა. ამის შემდეგ, საქართველო 5 ოლიმპიურ თამაშებზე წარსდგა დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსით და საკმაოდ კარგი შედეგებითაც გამოირჩევა. (Olympic Games Official Website, 2019)

ცხრილი #3 საქართველო ოლიმპიურ თამაშებზე

ოლიმპიადა	ათლეტები	ოქრო	ვერცხლი	ბრინჯაო	ჯამი	ადგილი
1996 - ატლანტა	34	0	0	2	2	68
2000 - სიდნეი	36	0	0	6	6	68
2004 - ათენი	32	2	2	0	4	32
2008 - პეკინი	35	3	2	2	7	26
2012 - ლონდონი	35	1	2	3	6	39
2016 - რიო	40	2	1	4	7	38

წყარო: ოლიმპიური თამაშების ოფიციალური ვებ-გვერდი

საბოლოოდ, რომ შევაჯამო, ჩვენ დავინახეთ, თუ რამხელა როლს თამაშობს სპორტული ტურიზმი დღეს. ეს ორი დისციპლინა, რომლებიც რეკრეაციას, ჯანსაღ

ცხოვრებას, შემეცნებას, ქვეყნის იმიჯისა და კულტურის ზრდასა და განვუთარებას უწყობს ხელს, დიდი ალბათობით კიდევ უფრო პოპულარული და აქტუალური გახდება.

1.2. სპორტული ტურიზმი აზერბაიჯანსა და სომხეთში

სპორტს, ტურიზმისგან განსხვავებით, აზერბაიჯანში საკმაოდ დიდი ისტორია და ფესვები აქვს. აქ წარმოდგენილია როგორც თანამედროვე, ასევე ტრადიციული სპორტული სახეობები. ჭიდაობა აზერბაიჯანის ეროვნულ სპორტად ითვლება, თუმცა დღეისათვის ქვეყნის სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობებია ფეხბურთი და ჭადრაკი. აზერბაიჯანში მეტ-ნაკლებად წარმოდგენილია საზღვაო და მთის სპორტის სახეობები. საერთაშორისო დონეზე, აზერბაიჯანში ყველაზე წარმატებული სპორტია ჭადრაკი, ასევე ჭიდაობა და ძალოსნობა. აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანი საერთაშორისო სპორტული საზოგადოების აქტიური წევრია და წარმოდგენილია შემდეგ მნიშვნელოვან ორგანიზაციებში: საერთაშორისო საფეხბურთო ფედერაციის ასოციაცია (FIFA), ევროპის საფეხბურთო ასოციაცია (UEFA), მძლეოსნობის საერთაშორისო ასოციაცია (IAAF), ევროპის მძლეოსნობის ასოციაცია (EAA), საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი (IOC) და სხვა (Azerbaijan, 2019).

საკმაოდ მზარდია აზერბაიჯანში სათავგადასავლო და ექსტრემალური სპორტული სექტორი. ამ მხრივ, ყველაზე განვითარებულია ჯომარდობა, პარაშუტითა და პარაპლანით ფრენა, კლდეზე ცოცვა და სათხილამურო ტურიზმი. პარაპლანით ფრენა აზერბაიჯანის რამდენიმე ქალაქშია შესაძლებელი, კერძოდ, ბაქოში, ზაქათალასა და გუსარში. ზიპლაინით დაშვება შესაძლებელია მხოლოდ შაჰდღის ტურისტულ კომპლექსში. აზერბაიჯანში საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს ჯომარდობა და კაიაკინგი. კაიაკინგი უპირველესად გვხვდება კასპიის ზღვასა და მინგეჩაურის წყალსაცავში, სადაც პერიოდულად სხვადასხვა

ადგილობრივი, რეგიონული და საერთაშორისო ტურნირი ტარდება. ჯომარდობა განვითარებულია ისეთ მთის მდინარეებზე, როგორებიცაა ტარტარი, არპა და ა.შ (Azerbaijan E. T., 2018).

აზერბაიჯანში წარმოდგენილია ორი ზამთრის ტურისტული კომპლექსი,- შაჰდღა და ტუფანდაგი, თუმცა ზამთრის სპორტული სახეობების პოპულარობით ქვეყანა ვერ დაიკვეხნის. შესაბამისად, ამ სეზონზე ისინი საერთაშორისო ტურისტების დეფიციტს განიცდიან. სათხილამურო ტურნირებიც, რომლებიც აღნიშნულ კომპლექსებზე ეწყობა, მხოლოდ და მხოლოდ, ადგილობრივ დონეზეა წარმოდგენილი (Resorst, 2019).

აზერბაიჯანში გვხვდება მრავალი სახის ტრადიციული და ნაციონალური სპორტული სახეობები. მათგან ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია ჩოვკანი (იგივე აზერბაიჯანული პოლო), რომელიც სტილით ძალიან წააგავსო პოლოს და ითამაშება ყარაბაღში, ცხენზე შემომჯდარი გამოცდილი ცხენოსნების მიერ. ჩოვკანის გარდა, ქვეყნის საკმაოდ პოპულარული ტრადიციული სპორტია ზორხანა და ფალავანთა ჭიდაობა. ორივე მათგანი ჭიდაობის სახეცვლილი სახეობებია (Azerbaijan.az, 2017).

ბოლო წლებით თუ ვიმსჯელებთ, მოგზაურობისა და ტურიზმის სფერო აზერბაიჯანში საკმაოდ პროგრესირებს, რაც უპირველესად სწორედ სპორტული ტურიზმის სექტორის ზრდითაა გამოწვეული. ამის ნათელი დასტურია დიდი სპორტული ღონისძიებების მასპინძლობა, რომლის დროსაც აზერბაიჯანი ათიათასობით ტურისტმა მოინახულა (Azpromo, 2018).

ყველაზე მასშტაბური სპორტული ღონისძიება, რომელსაც აზერბაიჯანმა უმასპინძლა, იყო პირველი ევროპული ოლიმპიური თამაშები. ბაქომ 2015 წლის ივნისში ევროპის 50 ქვეყნიდან მიიღო 6 000 ათლეტზე მეტი, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სპორტის 20 სახეობაში. ასეთი მასშტაბური ღონისძიების მასპინძლობის მთავარი მიზანი იყო ბაქოსა და მთლიანი აზერბაიჯანის, როგორც

ტურისტული დესტინაციის პოპულარიზაცია და საერთაშორისო იმიჯის ზრდა. აზერბაიჯანის კულტურისა და ტურიზმის სამინისტროს მონაცემებით, 28 ათასზე მეტი ტურისტი ეწვია ქვეყანას ოლიმპიურ თამაშებზე დასასწრებად. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში აზერბაიჯანს მოუწია ვიზის მისაღები პროცედურების გამარტივება. სპორტული ტურისტების უმრავლესობა იყვნებ რუსეთიდან, ბრიტანეთიდან, გერმანიიდან, ნიდერლანდებიდან, იტალიიდან, შვეიცარიიდან და ესპანეთიდან. ღონისძიება გადაიცემოდა მსოფლიოს 93 ქვეყანაში და მას თვალი მიადევნა ერთ მილიარდზე მეტმა ადამიანმა. აღსანიშნავია, რომ 33 მილიონზე მეტმა ადამიანმა მოიძია ინფორმაცია აზერბაიჯანის ტურიზმის შესახებ Google-ში 2015 წელს, საიდანაც დაახლოებით 70% ივნისის თვეზე მოდის (Azerbaijan T. C., 2015).

შემდეგი ყველაზე მნიშნელოვანი სპორტული ღონისძიება, რომელსაც აზერბაიჯანმა უმასპინძლა უეფას ევროპის ლიგის 2019 წლის ფინალური მატჩია ფეხბურთში. ღონისძიება ჩატარდა ბაქოს ოლიმპიურ სტადიონზე, რომელიც იტევს 68 700 ადამიანს. ბილეთების განაწილება იყო შემდეგნაირი: 21 500 ბილეთის ყიდვა შეეძლოთ მსოფლიოს 100 ქვეყანაში (გარდა აზერბაიჯანისა) სპორტით დაინტერესებულ ადამიანებს; 16 000 ბილეთი გადაეცა ფინალში მონაწილე გუნდებს, თითოეულს 8 000 ბილეთი; UEFA-ს წარმომადგენლებსა და პარტნიორებს გადაეცათ 3 00 ბილეთი; დარჩენილი ბილეთების რაოდენობა განსაზღვრული იყო ადგილობრივ ქომაგებზე. სამწუხაროდ, არ არის ოფიციალური ინფორმაცია, თუ რამდენი ტურისტი ესტუმრა ბაქოს სპეციალურად ამ ღონისძიებისათვის, თუმცა არაოფიციალური ინფორმაციით მოლოდინი იყო გაცილებით მაღალი და საკმაოდ დიდი რაოდენობა ბილეთებისა დარჩა გაუყიდავი (Baku, 2019).

2017 წლის მაისში აზერბაიჯანმა უმასპინძლა მე-4 ისლამური სოლიდარობის თამაშებს (საუდის არაბეთის, ირანისა და ინდონეზიის შემდეგ), რომელზეც წარმოდგენილი იყო თითქმის ყველა ისლამური სახელმწიფო, კერძოდ 54 ქვეყნის 6000-ზე მეტი სპორცმენი. შეჯიბრი ჩატარდა 24 ოლიმპიურ სპორტულ სახეობაში.

სამწუხაროდ უცნობია ტურისტების ზუსტი რაოდენობა სპეციალურად ამ ღონისძიებისათვის, მაგრამ გარკვეული წყაროებით ისლამურ თამაშებს 20-25 ათასი ტურისტი ეწვია (Games, 2017).

კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი სპორტული ღონისძიება, რომელსაც აზერბაიჯანის დედაქალაქი 2017 წლიდან ყოველწლიურად მასპინძლობს Socar Azerbaijan Grand Prix-ია ფორმულა 1-ში. აზერბაიჯანს სპეციალურად ამ ტურნირისათვის დაახლოებით 15000 ტურისტი სტუმრობს, მაგრამ ღონისძიების მთავარი შედეგი მილიონობით ტელემაყურებელია მსოფლიოს 100-ზე მეტი ქვეყნიდან, ასევე ბაქოსა და აზერბაიჯანის რეკლამირება თითქმის ყველა კონტინენტზე (Formula 1 Socar Azerbaijan Grand Prix, 2019).

სომხეთში სპორტული ტურიზმი ნაკლებად პოპულარული სექტორია. ეს გამოწვეულია ასარაკმარისად განვითარებული სპორტული თუ ტურისტული ინფრატსრუქტურითა და მეტ-ნაკლებად შეზღუდული ბუნებრივი გარემოთი. სომხეთის არაოფიციალურ ეროვნულ სპორტის სახეობად ჭადრაკია მიჩნეული, თუმცა ყველაზე დიდი პოპულარობით ქვეყანაში ფეხბურთი და კალათბურთი სარგებლობს. საერთაშორისო ასპარეზზე ქვეყანა ყველაზე წარმატებულია ბოქსში, ჭიდაობასა და ძალოსნობაში. სომხეთი აზერბაიჯანისა და საქართველოს მსგავსად წარმოდგენილია თითქმის ყველა საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციაში. სომხეთს პოტენციალი აქვს უფრო განავითაროს მთის სპორტული სახეობები (მაგალითად, კლდეზე ცოცვა), ვიდრე წყლის სპორტული სახეობები, რადგან მას არც ზღვა და არც მდიდარი შიდა წყლის სისტემა არ გააჩნია. ერთადერთი გამონაკლისია სევანის ტბა, სადაც შესაძლებელია კანოესა და კაიაკინგის განვითარება. სხვა ექსტრემალური და სათავგადასავლო სპორტული სახეობებიდან უნდა გამოიყოს პარაპლანით ფრენა სევანის ტბის მიმდებარედ. სახელმწიფო აქტიურად მუშაობს ამ სექტორის რეკლამირებაზე განსაკუთრებით რუსეთში (100 Armenpress, 2018).

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის სტატისტიკის მიხედვით, სამხრეთ კავკასიის რეგიონში ტურიტული თვალსაზრისით ყველაზე ნაკლებგანვითარებული სახელმწიფო სწორედ სომხეთია. ტურისტების რაოდენობითაც და მათ მიერ დახარჯული თანხითაც იგი რეგიონში აუცაიდერია და საკმაოდ დიდი რაოდენობით ჩამორჩება საქართველოსაც და აზრბაიჯანსაც.

ცხრილი #4 სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ტურისტების რაოდენობა და ტურიზმში დახარჯული თანხები

ქვეყანა	ტურისტების რაოდენობა (მლნ)	დახარჯული თანხა (მლრდ)
საქართველო	3.479	2.751
აზერბაიჯანი	2.454	3.012
სომხეთი	1.495	1.12

წყარო: მსოფლიოს ტურიზმის ასოციაცია

მიუხედავათ იმისა, რომ არ არსებობს არანაირი ოფიციალური სტატისტიკა, ანალოგიური შეიძლება ითქვას სპორტულ ტურიზმზეც (Assotioation, 2018). გასული ათწლეულით თუ ვიმსჯელებთ (პრინციპში, არც მანამდე) სომხეთს არ უმასპინძლია არც ერთი საერთაშორისო დონის დიდი სპორტული ღონისძიებისათვის, სომხეთში არის ყველაზე ნაკლებად განვითარებული სპორტული ინფრასტრუქტურა, საერთაშორისო ტურნირებში სომხეთს აქვს ყველაზე დაბალი შედეგები მედლების მიხედვით. ფაქტია, რეგიონულ დონეზე სპორტულ ტურიზმში ლიდერობს საქართველო და აზერბაიჯანი. ორივეს გააჩნია თავისი პლუსი და მინუსი. საქართველოში წარმოდგენილია უფრო მრავალფეროვანი ბუნებრივი გარემო სპორტული ტურიზმის განსანვითარებლად, ვიდრე აზერბაიჯანსა და სომხეთში. შავი ზღვა და ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული სამთო-სათხილამურო, ბალნეოლოგიური თუ გამაჯანსაღებელი კურორტები საქართველოსთვის რეგიონული ლიდერობისთვის უდიდესი პრივილეგიაა. ამას ემატება რეგიონში ტურისტული თვალსაზრისითაც ლიდერობა, რაც თავისთვად სპორტული ტურისტებით ლიდერობასაც გულისხმობს. თუმცა, ამ ყველაფერს აზერბაიჯანი

უპირისპირდება ნავთობით და გაზით, მეტ-ნაკლებად ხელისშემწყობი ბუნებრივი გარემოთი, რაც შესაძლებლობას აძლევს უმასპინძლოს მაღალი დონის ტურნირებს, ჰქონდეს რეგიონში საუკეთესო სპორტული ინფრასტრუქტურა. სომხეთი კი, არც განსაკუთრებული ბუნებრივი გარემოთი, არც ბევრი ტურისტით და არც განსაკუთრებული ეკონომიკური მდგომარეობით გამოირჩევა, შესაბამისად რეგიონში სპორტული ტურიზმის სექტორში აუცაიდერის როლი უკავია. (იხილეთ დანართი, ცხრილი #5)

თავი III. კვლევის ანალიზი

3.1 კვლევის შედეგები

კვლევა ჩატარდა 3 სხვადასხვა რეგიონში: გურიაში, შიდა ქართლსა და თბილისში. მარტივი შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, აღნიშნულ რეგიონებში შეირჩა 50 სპორტსმენი, სპორტის 3 სხვადასხვა სახეობაში: ფეხბურთში, კალათბურთსა და ჭიდაობაში. აღნიშნული რეგიონების შერჩევის მიზეზი გახდა ის, რომ კვლევის მეტი ვალიდურობისთვის საჭიროდ ჩავთვალე თბილისის გარდა შემერჩია ისეთი 2 რეგიონი, რომელთაგან ერთი დასავლეთ, ხოლო მეორე აღმოსავლეთ საქართველოში იქნებოდა. რაც შეეხება არჩეულ სპორტის სახეობებს, ჩემს მიერ შერჩეულ რეგიონებში აღნიშნული სპორტის სახეობები დიდი პოპულარობით სარგებლობს.



გამოკითხული 50 სპორტსმენიდან მდედრობითი სქესის წარმომადგენელი იყო 9 (18%), ხოლო მამრობითი 41 (82%). რესპოდენტთა 64% (32) 18-24 წლის ასაკს განეკუთვნებოდა, ხოლო 25-30 წლის ასაკს 30% (15), კიდევ უფრო ცოტა რაოდენობის რესპოდენტი დაფიქსირდა 31-36 წლის ასაკობრივ ჯგუფში - 6% (3). (იხილეთ დანართი, დიაგრამა #2)

რეგიონების მიხედვით ინტერვიუერთა გადანაწილება თანაბარია, თითოეული რეგიონიდან 20 სპორტსმენი. თბილისში გამოიკითხა ფეხბურთელები და კალათბურთელები. შიდა ქართლსა და გურიაში ფეხბურთელები და მოჭიდავეები.

საერთო ჯამში გამოიკითხა 20-20 ფეხბურთელი და მოჭიდავე, ხოლო რაც შეეხება რესპოდენტ კალათბურთელთა რაოდენობას, მათი რიცვი 10-ს შეადგენს. (იხილეთ დანართი, დიაგრამა #3)

კვლევამ გვიჩვენა, რომ სპორტსმენთა 88%-ის (44) აზრით, სპორტული შეკრება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სპორტული შეკრებების დროს დამქანცველი სეზონის შემდეგ ხდება ძალების აღდგენა, გარდა ამისა შეკრებებზე სპორტსმენებს შესაძლებლობა ეძლევათ შეეჯიბრონ სხვა უცნობ სპორტსმენებს (ზოგიერთ შემთხვევაში უცხოელ სპორტსმენებს), რაც ერთგვარ გამოცდილებას სძენს მათ. 12% (6) კი თვლის, რომ შეკრება მნიშვნელოვანია და მეტ-ნაკლებად იმავე ფაქტორებს გამოყოფენ, რასაც ინტერვიუერთა უმეტესობა.



კითხვაზე, თუ რამდენად ხშირად დადიან სპორტულ შეკრებებზე, გამოკითხულთა 62% (31) ერთ კალენდარულ წელში ერთხელ დადის სპორტულ შეკრებაზე. იმ რესპოდენტთა ხვედრითი წილი, რომლებიც შეკრებაზე წელიწადში ორჯერ დადის 24%-ია (12). ხოლო 14%-ს შეადგენენ ისინი, ვინც წელიწადში არცერთ შეკრებაზე არ დადიან. მათი თქმით, მიზეზი იმისა, თუ რატომ არ ეწობა სპორტული შეკრება უფრო ხშირად, არის ფინანსების ნაკლებობა. ხშირ შემთხვევაში, სპორტსმენებს თავად უწევთ შეკრების დაფინანსება. არის შემთხვევები, როდესაც შეკრებას მუნიციპალიტეტი ან კლუბი აფინანსებს.

გამოკითხულთა უმრავლესობა (58%) შეკრებებზე მხოლოდ საქართველოში დადის. იმ რესპოპდენტთა ხვედრითი წილი კი, რომლებიც შეკრებას მხოლოდ უცხოეთში გადის 10%-ია. 18% იკრიბება, როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში. ხოლო 14% როგორც უკვე აღვნიშნე, შეკრებებს საერთოდ არ გადის. (იხილეთ დანართი, დიაგრამა #5)

საქართველოს ტერიტორიაზე შეკრება ძირითადად ხორციელდება შემდეგ კურორტებზე: ბაკურიანი, ურეკი, ქობულეთი, ყაზბეგი, ცემი და ამბროლაური. როგორც კვლევამ აჩვენა, ქართულ კორერტებზე შეკრებას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარე. დადებითად შეგვიძლია მივიჩნიოთ ფინანსური დანახარჯი, უცხოურ შეკრებასთან შედარებით ქართული ბევრად იაფი და ხელმისაწვდომია ადგილობრივი კლუბებისა და სპორტსმენებისათვის. თუმცა ქართულ კურორტებზე მოწყობილ შეკრებებზე ხშირად არ არის უცხოელ სპორტსმენებთან შეჯიბრის შესაძლებლობა. გამონაკლისია მოჭიდავეთა შეკრებები, სადაც იშვიათად მეზობელი ქვეყნიდან ჩამოდიან სხვადასხვა ასაკობრივი მოჭიდავეთა ჯგუფები. რაც შეეხება საზღვარგარეთ შეკრების დადებით და უარყოფით მხარეს, ქართულ შეკრებასთან შედარებით უცხოური შეკრებაზე სპორტსმენს მეტი შესაძლებლობა აქვს თავი გამოსცადოს უცნობ ათლეტთან, რაც გამოცდილების შეძენას უწყობს ხელს. გარდა ამისა ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით უცხოური კურორტები ქართულს საგრძნობლად აღემატება. უარყოფით მხარეზე საუბრისას შეგვიძლია დავასახელოთ ფინანსები, საკმაოდ ძვირი ჯდება უცხოური შეკრება, რისი შესაძლებლობაც რესპოდენტთა უმეტეს ნაწილს არ გააჩნია. ინტერვიუერთა ის ნაწილი, რომელიც შეკრებაზე უცხოეთში დადის, ძირითადად არჩევანს თურქეთზე აკეთებს. არის გამონაკლისიც, ავსტრიის სახით.

შემდეგ ეტაპზე ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუ უცხოელ სპორტულ ტურისტებთან, კერძოდ: 26-28 მაისის განმავლობაში თბილისში მრავალ ტურისტს შეხვდებოდით ორი ლონდონური საფეხბურთო კლუბის, არსენალისა და ჩელსის ფორმებით. ეს სწორედ ის ორი გუნდია, რომლებიც ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ბაქოში, უეფას ევროპა ლიგის ფინალში. შესაბამისად, საინტერესოდ ჩავთვალე გამომეკვლია ის მიზეზები, თუ რატომ ესტუმრა თბილისს ბაქომდე ამდენი სპორტული ტურისტი, რა იყო მათი თბილისში მოგზაურობის მოტივაცია, როგორ შეაფასებდნენ თბილისს, როგორც სპორტული ტურიზმის დესტინაციასა და ა.შ. ტურიტები შეირჩა თოვლის გუნდის პრინციპით, და მათ წინასწარ შედგენილი

კითხვარით ჩაუტარდათ სიღრმისეული ინტერვიუ ორ ეტაპად, ფინალამდე და ფინალის შემდეგ. ამ გზით, შესაძლებლობა მომეცა შემეფასებინა ტურისტების მოლოდინები და არსებული რეალობა ბაქოში, ღონისძიების ორგანიზების ხარისხი და დონე მასპინძელი ქვეყნის მიერ. ასევე, გარკვეული ტურისტული შედარებითი ანალიზი თბილისსა და ბაქოს შორის.



ჯამში გამოიკითხა 12 ტურისტი, რომელთაგანაც წარმოშობით 10 იყო ბრიტანელი, ერთი პოლონელი და გერმანელი. 10-ვე ბრიტანელი ტურისტი გაწევრიანებული იყო ფინალში მყოფი კლუბების ოფიციალურ ფანკლუბში. 12-ვე რესპოდენტი ფინალის შემდეგ დაბრუნდა კვლავ საქართველოში. ინტერვიურების 50%-მა საქართველოში ჯამში 5 და მეტი დღე დაჰყო, 25%-მა 3 დღე, ხოლო დანარჩენებმა 2 დღე. მათგან 75%, კერძოდ 9 ტურისტი თბილისი-ბაქო-თბილისი მატარებლით გადაადგილდა, 2 - მინივენით, ხოლო 1 - საჰაერო გზით. (იხილეთ დანართი, დიაგრამა #7)

მიუხედავათ იმისა, რომ ბაქოს ჰეიდარ ალიევის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი თავისი გამტარიანობით აკმაყოფილებს გლობალურ სტანდარტებს და შეუძლია ყოველ საათში დაახლოებით 10 000 მგზავრის მიღება, უცხოელი ტურისტების მიერ მაინც გამოიკვეთა გარკვეული პრობლემები აზერბაიჯანში გამგზავრების კუთხით. პირველ რიგში, გამოკითხულმა რესპოდენტებმა მიზეზად იმისა, თუ რატომ ჩავიდნენ აზერბაიჯანში საქართველოს გავლით, პირდაპირი ფრენების ნაკლებობა და ბაქოს მიმართულებით არსებული ავიაბილეთების სიძვირე დაასახელა. ბრიტანელ ტურისტებისთვის ორმხრივი გზა ბაქოში დაახლოებით 1000£ ჯდებოდა, როცა თბილისში ვიზიტით მათ დაზოგეს 600£. გერმანელი და პოლონელი

ტურისტისთვის ფრენის სიძვირე არ იყო გადამწყვეტი მიზეზი საქართველოში ჩამოსვლისა, არამედ მათ სურვილი ჰქონდათ აღნიშნული ტურის დროს მოენახულებინათ თბილისიც.

უნდა აღინიშნოს, რომ ბრიტანელი ტურისტების თქმით, გარკვეულ ნაწილს ტურისტებისა პრობლემა შეექმნათ ვიზის მიღების პროცესში სომხეთის საზღვრის გადაკვეთის გამო, ამიტომაც მათ მოუწიათ საკუთარ ქვეყანაში დარჩენა.

3.2 კვლევის შედეგების განზოგადება თეორიების მიხედვით

სპორტული მოტივაციის თეორია

მასლოუს „ადამიანური მოტივაციის თეორიის“ მიხედვით მილნემ და მაკდონალდმა შეიმუშავეს და განავითარეს სპორტული მოტივაციის თეორიის მოდელი. მათ გამოყვეს 13 სპორტული მოტივაცია, კერძოდ: ფიზიკური-ფიტნესის, რისკის გაწევის, სტრესის შემცირების, აგრესიის, კუთვნილების, სოციალური ხელშეწყობის, საკუთარი თავის წარმოჩენის, შეჯიბრის-კონკურენციის, წარმატების, უნარების გამომუშავების, ესთეტიურობის, ღირებულებების განვითარებისა და თვითრეალიზების. ყველა ზეოთ აღნიშნული მოტივაცია მიესადაგება, როგორც სპორტის მონაწილეებს, ასევე სპორტულ ტურისტებს (George R. Milne, 1999).

მასობრივი კომუნიკაციის თეორია

შეისწავლის მასობრივი კომუნიკაციისა და საშუალებების ფუნქციონირებისა და განვითარების პროცესებს. ასევე ზემოქმედების შედეგებს. ჰოვარს ლასუელმა თეორიის ძირითადი პრინციპი აღწერა თავისი ცნობილი ფორმულით – „ვინ აცნობებს, რას აცნობებს, რომელი არხებით, ვის და რა ეფექტით“. აღნიშნული თეორია შეისწავლის მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების (ინტერნეტი, ტელევიზია, რადიო და ა.შ.) თავისებურებებს მასმედიასა და საზოგადოებას შორის

კომუნიკაციის პროცესში (სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი, 2004).

ნაშრომში მკაფიოდაა აღნიშნული, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების, კერძოდ კი ინტერნეტის, ტელევიზიისა და ბეჭდური მედია საშუალებების გამოყენება ტურისტული პროდუქტის პოპულარიზაციისათვის ძალიან მნიშვნელოვანია. ის არის ტურისტების დაინტერესებისათვის პირველადი წყარო, ახალი ბაზრის ათვისებისათვის აუცილებელი მექანიზმი. სწორედ ეს საშუალებები განაპირობებენ საქართველოში სპორტული ტურისტების რაოდენობის ზრდას.

დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომში შევეცადე, სამ სხვადასხვა რეგიონში ჩატარებული რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის, სხვადასხვა მნიშნელოვანი თეორიისა და არსებული სტატისტიკური მასალის საფუძველზე ამეხსნა, თუ რა პოტენციალი გააჩნია საქართველოს სპორტული ტურიზმის განვითარებისთვის. ასევე, ჩემი მიზანი იყო, რომ გამომევლინა სპორტული ტურიზმის განვითარების პროცესში არსებული გამოწვევები და ქვეყნის მთლიანი ტურიზმის სექტორში მისი როლი.

ნაშრომში ასახულია, რომ სპორტული ტურიზმის წარმატება ქვეყანაში დამოკიდებულია მრავალი, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული კომპონენტის განვითარებით. უპირველეს ყოვლისა უნდა გამოიყოს ბუნებრივი პირობები, რომლებიც სპორტული ტურიზმის არსებობისთვის არის აუცილებელი. მაგალითად, წყლისა და მთის რესურსი. შემდეგი მნიშვნელოვანი ფაქტორი არის ეკონომიკური, თუ რამდენად აქვს ქვეყანას შესაძლებლობა ზემოდხსენებული რესურსები აქციოს ტურისტულ პროდუქტად. ამგვარ ტურისტულ პროდუქტად შეიძლება ჩაითვალოს: სამთო და საზღვაო კურორტები, აგრეთვე სპორტული ინფრასტრუქტურა. შემდეგი მნიშვნელოვანი ფაქტორია, უკვე მზა ტურისტული პროდუქტის პოპულარიზაცია, აქტიური პიარი და მარკეტინგი, რამაც ქვეყანაში ტურისტების მოზიდვა უნდა გამოიწვიოს. ყველაზე მარტივი მეთოდი ტურისტული პროდუქტის პოპულარიზაციისთვის არის საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მასპინძლობა, რასაც მყისიერი შედეგი მოაქვს. გარდა ამისა, უმნიშვნელოვანესია საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებზე წარმომადგენლობითობა და წარმატება, რაც სპორტული ტურისტების დიდ ინტერესს იწვევს შემდგომში ამ ქვეყანაში მოგზაურობისთვის. ასევე, სპორტული ტურიზმის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია სასაზღვრო პოლიტიკა, კერძოდ სავიზო რეჟიმი, პირდაპირი ფრენების არსებობა, დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანიების წარმომადგენლობითობა,

აეროპორტების სიმრავლე და ა.შ. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ფასების პოლიტიკა, კერძოდ რამდენად ადეკვატურია ფასები და რამდენად შეესაბამება იგი მომსახურებისა და დასვენების ხარისხს. ზემოთაღნიშნული კომპონენტების ერთობლიობა გასაზღვრავს კონკრეტული ქვეყნის სპორტული ტურიზმის განვითარების პოტენციალს.

ნაშრომში გამოყენებული მონაცემების ანალიზმა და სამ სხვადასხვა რეგიონში ჩატარებულმა რაოდენობრივ და თვისობრივი კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ სპორტული ტურიზმის სექტორი საქართელოს ტურისტული ინდუსტრიის ერთ-ერთი მთავარი სუბიექტია. გამოიკვეთა, რომ საქართველოს გააჩნია ყოველგვარი ხელშემწყობი ფაქტორი, რაც საჭიროა სპორტული ტურიზმის განვითარებისათვის. ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად გამოიკვეთა ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმართაობა. თუმცა, განსხვავებული სიტოაციაა რეგიონებსა და თბილისში. რეგიონებში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის უმრავლესობა საჭიროებს რეაბილიტაციას, რათა შესაძლებელი გახდეს საერთაშორისო ღონისძიებების მასპინძლობა. თბილისში კი, სხვა სახის პრობლემას ვაწყდებით. დედაქალაქში არის გაცილებით მეტი მოქმედი სპორტული ინფრასტრუქტურა, ვიდრე სხვა რეგიონში, თუმცა მისი დიდი ნაწილი არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, რაც გლობალური ღონისძიებების მასპინძლობისთვის ერთგვარ დაბრკოლებას წარმოადგენს. საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ტურისტული პოტენციალის შედარებითის ანალიზის შედეგებმა ცხადჰყო, რომ საქართველოს შეუძლია იყოს გამოკვეთილი ლიდერი სპორტული ტურიზმის თვალსაზრისით.

კვლევის შედეგებით გამოიკვეთა, რომ საქართველოს კურორტები (გამოკლებით საზღვაო და სამთო-სათხილამურო კურორტებისა) ძირითადად ადგილობრივ დონეზეა წარმოდგენილი და ისინი განიცდიან საერთაშორისო სპორტული ტურისტების ნაკლებობას. იმისათვის, რომ სპორტული ტურიზმი იყოს წარმატებული, მნიშვნელოვანია ქვეყანაში სპორტისა და ტურიზმის სექტორი იყოს

საკმაოდ განვითარებული. ამიტომაც, მნიშვნელოვანი იყო გაგვერკვია, თუ რამდენად აქვთ შესაძლებლობა ქართველ სპორტსმენებს, კარიერული წინსვლისათვის აუცილებელი სპორტული შეკრებების მოწყობისათვის. დადასტურდა, რომ ქართველ სპორცმენებს საკმაოდ ცოტა შეკრება აქვთ ერთი კალენდარული წლის მანძილზე, ისიც გამონაკლისებსების გარდა ქვეყნის მასშტაბით. ასევე დადგინდა, რომ საქართველოს კურორტებში მნიშნელოვანი პრობლემაა სპორტული ინფრასტრუქტურა. გამომწვევი მიზეზი სპორტული შეკრებების ნაკლებობისა უპირველესად არის ფინანსების ნაკლებობა, რადგან მსგავსი შეკრებები ძირითადად თვითდაფინანსებით ეწყობა და საკმაოდ დიდ ხარჯთანაა დაკავშირებული.

თუმცა, ასევე გამოიკვეთა, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს აქტიური ჩართულობა საქართველოში სპორტული ტურისტების მოზიდვისათვის. მიუხედავათ იმისა, რომ თბილისში ტარდება ყველაზე მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიებები, ორივე ზემოთაღნიშნული სამინისტრო ცდილობს რეგიონების დატვირთვას სხვადასხვა სპორტული ღონისძიებებით.

დასკვნის დასასრულს შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღეისათვის საქართველოში სპორტული ტურიზმი ფუნქციონირება უფრო დადებითად შეგვიძლია შევაფასოთ, ვიდრე უარყოფითად. თუმცა, ეს ყველაფერი ზღვარი არ არის, რადგანაც საქართველოს გააჩნია კიდევ უფრო მეტი პოტენციალი, პერსპექტივა და საინტერესო შესაძლებლობები განავითაროს აღნიშნული სექტორი. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ტენდენცია კიდევ უფრო განვითარდეს და აღმოიფხვრას ის მინუსები, რაც სპორტული ტურიზმის ქართულ ბაზარზე გვხვდება. კერძოდ, გაუმჯობესდეს სპორტული ინფრასტრუქტურა და კიდევ უფრო გაიზარდოს ქართული კურორტების იმიჯი და პოპულარობა.

გამოყენებული ლიტერატურა

კეკელია. (2017). *სპორტული ინფრასტრუქტურა საქართველოში.* Retrieved 05 29, 2019, from http://msy.gov.ge/files/categoris/dziudo/2014/apr/_%E1%83%99%E1%83%94%E1%83%99%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90_Geo_Sports_Infrastructure.pdf

პავლიაშვილი, ნ. (2015). *ტურიზმისა და რეკრეაციული გეოგრაფიის საფუძვლები და მსოფლიო ტურიზმის გეოგრაფია.* Retrieved 05 23, 2019

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამინისტრო. (2019, 03 12). Retrieved 06 03, 2019, from heritagesites.ge: https://heritagesites.ge/ka/news_item/381

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო. (2006, 07 26). Retrieved 06 03, 2019, from /msy.gov.ge: http://msy.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=252&info_id=1101

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო. (2015). Retrieved 06 01, 2019, from http://msy.gov.ge: http://msy.gov.ge/index.php?sec_id=158&lang_id=GEO&geo=on&searchq=%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%98

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. (2017). Retrieved 06 05, 2019, from gnta.ge: https://gnta.ge/ge/%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98/

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. (2018). Retrieved 05 28, 2019, from gnta.ge: https://gnta.ge/ge/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%98%E1%83%90%E1%83%99%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%98/

სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი. (2004). თბილისი: ლოგოს პრესი. Retrieved 01 04, 2019

ტურიზმის განვითარების ხელშეყწობა საქართველოში. (2017). Retrieved 05 03, 2019, from http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL2.14&d=HASH91d740a344d40d08e402b7&gt=2

100 Armenpress. (2018). Retrieved 06 02, 2019, from armenpress.am: https://armenpress.am/eng/news/891831/armenia-develops-sports-tourism-number-of-paragliding-flight-lovers-increases.html

Allnews. (2018, 07 19). Retrieved 05 23, 2019, from www.allnews.ge: https://www.allnews.ge/%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%96%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90/161883-%E1%83%96%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%98,-%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%A3%E1%83

Assotioation, W. T. (2018). *UNWTO Tourism Highlights: 2018 Edition.* Retrieved 06 02, 2019, from https://www.e-unwto.org/doi/pdf/10.18111/9789284419876

Azerbaijan, E. T. (2018). *azerbaijantours*. Retrieved 04 27, 2019, from azerbaijantours.net: .net/azerbaijantours2016/10/10/extreme-tourism-in-azerbaijan-list-prices/

Azerbaijan, S. i. (2019). *Topendsports*. Retrieved 04 27, 2019, from /www.topendsports.com: https://www.topendsports.com/world/countries/azerbaijan.htm

Azerbaijan, T. C. (2015, 07 10). First European Games. Azernews.az. Retrieved 05 03, 2019

Azerbaijan.az. (2017). Retrieved 05 03, 2019, from http://www.azerbaijan.az: http://www.azerbaijan.az/portal/Society/Sport/sport_e.html

Azpromo. (2018). *Tourism In Azerbaijan.* Baku. Retrieved 05 1, 2019, from http://www.azpromo.az/uploads/files/pages/6cac4718f61c44390cbe43453747fb77.pdf

Baku, E. L. (2019, 05 16). *Azernews*. Retrieved 05 25, 2019, from www.azernews.az: https://www.azernews.az/sports/150712.html

Brazil National Olympic. (2019, . .). Retrieved 04 19, 2019, from www.olympic.org: https://www.olympic.org/brazil

Formula 1 Socar Azerbaijan Grand Prix. (2019). Retrieved 27 05, 2019, from www.bakucitycircuit.com: https://www.bakucitycircuit.com/

Games, 4. I. (2017). *Baku2017*. Retrieved 05 18, 2019, from http://www.baku2017.com/: http://www.baku2017.com/

George R. Milne, M. A. (1999). *Sport Marceting: Managing the Exchange Process.* Retrieved 04 17, 2019

Gibson, H. (1998). Sport Tourism: a critical analysis of reaserch. Sport Managment. *Sport Tourism*, 45-76. Retrieved 03 21, 2019

Hall, C. M. (1992). *Hallmark Tourist Events: IMpacts, Managment and Planning.* London: Belhaven. Retrieved 03 18, 2019

Huggins, M. (2013). Sport, Tourism and History: Current historiography and future prospects. *Journal Of Tourism History*, 107-110. Retrieved 17 03, 2019, from https://www.academia.edu/5893775/Sport_Tourism_and_History_Current_historiography_and_future_prospects

Knop, S. a. (1999). *Sport Tourism.* -: -. Retrieved 03 22, 2019

National Association Of Sports Commissions. (2019, . .). Retrieved 04 15, 2019, from www.sportscommissions.org: https://www.sportscommissions.org/

Olympic Games Official Website. (2019). Retrieved 05 13, 2019, from www.olympic.org: https://www.olympic.org/

Resorst, A. S. (2019, 04 28). *Skiresort.info*. Retrieved from www.skiresort.info: https://www.skiresort.info/ski-resorts/azerbaijan/

Sport Tourism: Interrelationships, Impacts and Issues. (2004). Frankfurt: British Library. Retrieved 03 25, 2019

Sport Tourism: New Challenges in a Globalized World. (2017). Cambridge: Cambridge Schoolars Publishing. Retrieved 04 12, 2019, from https://www.cambridgescholars.com/download/sample/63743

Tbilisi 2015. (2015). Retrieved 06 01, 2019, from http://www.tbilisi2015.com: http://www.tbilisi2015.com/ge/home/

Thomas Hinch, J. E. (2004). *Sport tourism Development.* Cleavedon, Buffalo, Toronto, Sydne: Channel View Publication. Retrieved 03 16, 2019, from https://books.google.ge/books?id=FU1dIQ64yoEC&pg=PA39&dq=gibson+sport+tourism+classification&hl=en&sa=X&ved=0ahUKEwiJ-dy8gpHjAhXDl4sKHRtdDQEQ6AEIKTAA#v=onepage&q=gibson%20sport%20tourism%20classification&f=false

tourism in Georgia. (n.d.). Retrieved 05 20, 2019, from http://tourizmingeorgiabest.blogspot.com: http://tourizmingeorgiabest.blogspot.com/2015/05/blog-post_27.html

TravelWires. (2015, . .). Retrieved 04 17, 2019, from /www.travelwires.com: https://www.travelwires.com/fifa-world-cup-boosts-brazils-tourism-numbers-33824

UNWTO. (n.d.). Retrieved 16 03, 2019, from World Tourism Organisation: http://marketintelligence.unwto.org/content/sports-tourism

World Sport Tourism Show. (2018, . .). Retrieved 04 14, 2019, from WST-SHOW.COM: https://www.wst-show.com/en/sport-tourism

დანართი

რუკები:

რუკა #1



წყარო: პირადი ნამუშევარი GIS-ში, ოლიმპიური თამაშების ოფიციალური ვებ-გვერდი

რუკა #2



წყარო: პირადი ნამუშევარი GIS-ში, ოლიმპიური თამაშების ოფიციალური ვებ-გვერდი

რუკა #3



წყარო: პირადი ნამუშევარი GIS-ში, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

ცხრილები:

ცხრილი #1 ოლიმპიური თამაშების განვითარების ისტორია

#	წელი	მასპინძელი	მონაწილე ქვეყნების რა-ბა	მონაწილე სპორტსმენების რა-ბა	სპორტის სახეობათა რა-ბა	გუნდური გამარჯვებული
I	1896	ათენი	14	241	9	
II	1900	პარიზი	24	997	19	
III	1904	სენტ ლუისი	12	651	16	
IV	1908	ლონდონი	22	2008	22	
V	1912	სტოკჰოლმი	28	2407	14	
VI	1916	-	-	-	-	-
VII	1920	ანტვერპენი	29	2626	22	
VIII	1924	პარიზი	44	3089	17	
IX	1928	ამსტერდამი	46	2883	14	
X	1932	ლოს ანჯელესი	37	1332	14	
XI	1936	ბერლინი	49	3963	19	
XII	1940	-	-	-	-	-
XIII	1944	-	-	-	-	-
XIV	1948	ლონდონი	59	4104	17	
XV	1952	ჰელსინკი	69	4955	17	
XVI	1956	მელბურნი	72	3314	17	
XVII	1960	რომი	83	5338	17	
XVIII	1964	ტოკიო	93	5151	19	
XIX	1968	მეხიკო	112	5516	18	
XX	1972	მიუნხენი	121	7134	21	
XXI	1976	მონრეალი	92	6084	21	
XXII	1980	მოსკოვი	80	5179	21	

XXIII	1984	ლოს ანჯელესი	140	6829	21	
XXIV	1988	სეული	159	8391	23	
XXV	1992	ბარსელონა	169	9356	25	
XXVI	1996	ატლანტა	197	10318	26	
XXVII	2000	სიდნეი	199	10651	28	
XXVIII	2004	ათენი	201	10625	28	
XXIX	2008	პეკინი	204	10942	28	
XXX	2012	ლონდონი	204	10768	26	
XXXI	2016	რიო დე ჟანეირო	207	11238	28	
XXXII	2020	ტოკიო	*206*	*11091*	*33*	-

წყარო: ოლიმპიური თამაშების ოფიციალური ვებ-გვერდი

ცხრილი #2 სპორტული ინფრასტრუქტურა საქართველოს რეგიონებსა და თბილისში, 2017

ინფრასტრუქტურა	საქართველო (თბილისის გამოკლებით)	თბილისი
სპორტის სასახლე	-	2
საფეხბურთო მოედანი	53	3
სპორტული დარბაზი	32	17
საცურაო აუზი	12	7
რაგბის მოედანი	4	4
საჩოგბურთო კორტი	21	5
ძალოსნობის დარბაზი	4	-
კრივის დარბაზი	9	2
სასროლეთი	3	2
სათხილამურო ბაზა	3	-
სანიჩბოსნო ბაზა	3	-
კომპლექსური მოედანი	150	-
ველოტრეკი	-	3

წყარო: კეკელია - სპორტული ინფრასტრუქტურა საქართველოში

ცხრილი #5 სამხრეთ კავკასიის ქვეყნების სპორტული ტურიზმის განვითარებისთვის საჭირო კომპონენტების შედარება

სპორტული ტურიზმი	საქართველო	აზერბაიჯანი	სომხეთი
სპორტული ინფრასტრუქტურა	2	3	1
სამთო კურორტები	3	2	1
საზღვაო კურორტები	3	2	-
ტურისტების რაოდენობა	3	2	1
სპორტული ღონისძიებების მასპინძლობა	2	3	1
საერთაშორისო ტურნირებზე წარმატება	3	2	1
ქვეყანაში შეღწევადობის სიმარტივე	3	1	2
დასვენების სიიაფე	1	2	3
სპორტული ტურიზმის განვითარების პოტენციალი	3	2	1

*წყარო: პირადი ნამუშევარი *1 ყველაზე ცუდი შედეგი; 3 ყველაზე კარგი შედეგი*

დიაგრამები:

დიაგრამა #2 ინტერვიუერების ასაკობრივი განაწილება



წყარო: კვლევა

დიაგრამა #3 ინტერვიუერების განაწილება სპორტის სახეობის მიხედვით



წყარო: კვლევა

დიაგრამა #5 ინტერვიუერების სპორტული შეკრების ადგილი



წყარო: კვლევა

დიაგრამა #7 ტრანსპორტის სახეობა თბილისი-ბაქო-თბილისი



წყარო: კვლევა

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Elizbar Sadradze

Prospects For Sports Tourism Development In Georgia

Human Geography

Thesis submitted to the faculty of the Human Geography in partial fulfillment of the requirements for the degree of master of science

Supervisor: **Nino Pavliashvili**

Associate Professor

Tbilisi 2019